

წერილები გამოგზავნეთ ამ მისამართით: Paris. Rue La Perouse, 37,  
Délégation géorgienne. Pour Chalva Kikodzé.  
შალვა ქიქოძისათვის.

შ.ქ.

ანეტა, ეს წერილი კონსტანტინოვიჩის (51) ქალს საჩქაროდ გაუგ-  
ზავნე დაზღვეულით!



ალექსანდრე ჭილიერანი

### 12. გ.ლ. და ა.გ. ქიქოძეებს (52)

პარიზი, იანვარი, 1920]

ძვირფასო მამა და დავ!

ვსარგებლობ შემთხვევით, კიდევ მოგწეროთ წერილი. ჯერ ვერ  
მოვცენყვე. ისევ იქ ვარ, სადაც ვიყავი: ხოშტარიასთან. ატელიები სულ  
არ იძოვება, არც ოთახებია. არის მხოლოდ პანსიონები და ეს კი არ არის  
ჩემთვის ხელსაყრელი.

პარიზის ცოტა გავეცანი და საშინლად მენყინა, როდესაც ვიგრძენი,  
რომ მთელი ჩემი ნარმოდებენა მასზედ უბრალო ბანქოს ციხე იყო.

პარიზი, ძველი, უსათუოდ დამაზია: აქ ძალიან ბევრია ნამდვილი  
ხელოვნების რეგლები, მაგრამ ეს ხომ სულ ჩარსულის საქმეა.

ეხლანდელი, ახალი პარიზი, საძაგელია. სწავლა აქ არაფრის შეი-  
ძლება. აქ შეიძლება მხოლოდ დაათვალიერო, გაშინჯო, დაიმახსოვრო  
და ისნავლო ის, თუ რის გაკეთებაც არ არის საჭირო. გამოფენები საძა-  
გლებია. აკადემიებში ისე უშნოდ ხატავენ, რომ სახტად დაურჩი. ნუთუ  
ეს არის ნაევბი პარიზი. თეატრები, ანეტა, რომ ნახო, გამტერდები. კი  
არ ლაპარაკობენ, ბლავიან, ღრინავენ მთელი იმ პათოსით, რომელიც  
ერთულ თეატრმაც კი დიდი ხანია დაპეტო. გარყვნილება, გახრნა ყვი-  
ლაფერში — ეს არის ჯერ ის პარიზი, რომელსაც გავეცანი (53).

მე აქ, ალბათ, დიდხანს არ დაურჩები. არც არის საჭირო. როდესაც  
მივიღებ და დავინახავ იმას, რაც დამჭირდება, წავალ აქედგან ან გერ-  
მანიაში, ან რუსეთში. ეს, რა თქმა უნდა, მომავლის საქმეა. ეს ჩემი მო-  
საზრებაა და გთხოვთ, ჯერ ნურვის გაუზიარებთ. ვნახოთ. გეოცინთ.

შ.ქ.

P.S. წერილები მიიტანეთ საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ მისა-  
მართით: Paris. Rue La Perouse, 37, Mission géorgienne. Pour Chalva Kikodzé.  
შალვა ქიქოძეს

### 13. ა.გ. ქიქოძეს

პარიზი. თებერვლის 1, [1920]

დაო ანეტა!

მხოლოდ დღეს ვნახე ოთახი და, როგორც იქნა, დავისვენებ. 14 დღე  
ოთახს ვეძებ და უნდა გითხრა, ბეჭი ვინებელე. მაგრამ ეს 14 დღე  
ტყვილად არ დამიკარგავს. ოთახსაც ვეძებდი და პარიზსაც ვეცნობოდი.  
მართალია, ენაში ჯერ ნინსვლა დიდი არ მეტყობა, მაგრამ ამდენს ხანს  
ეს შეუძლებელი იყო, რადგან ვერ ვმაცადინობდი. ბევრი მუზეუმები და-  
ვათგალიერე. ნინათაც ვინერებოდი, რომ ძველი სიძლიერე საფრანგეთ-  
ისა ცხადია. ეს სიძლიერე მართლაც სჩანს ხელოვნების შემოქმედებაში.  
აქ ისეთი საყდრებია, რომ მხოლოდ დიდ, უშუალო რელიგიის შეეძლო მისი  
შექმნა. აქ ისეთი მუზეუმებია, რომ მხოლოდ ნამდვილ სიყვარულს და  
კარგ გემოს შეეძლო მათი შექმნა. მხოლოდ ახლანდელი საფრანგეთი, ის  
საფრანგეთი, რომელსაც მე ვუცემ, არაფრენ ნარმოადგენს. მე ვნახე  
ბევრი ახალი გამოფენები და ყველა ისინი უკეთესობის სურვილ  
სტოკებდენ ჩემში. არ არის სიყვარული იქ, არც გულწრფელია, არც

ჭურა. ყველაფერი გაცემებულია სხვათა შორის, დასვენების დროს. ყველაფერს აზის ნამდვილი ფრანგული ფუქსავატობის ბეჭედი. ყველაფერს დასასრულია დასაწყისი ეტყობა. ყუშიტაშვილის (54) დახმარებით გავეცანი თეატრებსაც. მე ცოტა, მგონი, მესმის თეატრებში. საშინელებაა, არაფერია მათში. არა გულწრფელი, უწუგვეშო პათოსი, უგემურება და გარყვნილება — აი, რა ახასიათებს თანამედროვე ფრანგულ თეატრს. ყუშიტაშვილიც ძალიან არ არის მაღლიერი. ის ანტუანის (55) თეატრში არის ჩეივისორათ. სხვათა შორის, ანტუანის თეატრი არაფერს წარმოადგენს. არაფერი დაუჯვეროთ ჯაბადარს (56). ევ, მეონი, ყველაზე ნაკლებათ იცნობს ანტუანის თეატრს. ყუშიტაშვილი ძალიან კარგ ყმანვილის შთაბეჭდილებას სტოვებს, ძალიან დაეუახლოვდი. ხშირად ვიყავით ერთად თეატრებში. ენახე ა. პავლოვა (57), გასაგიშებელი მოცვეავავეა. რამდენათ მაღლა დგას რუსეთი საფრანგეთზე!

ჩემო ლამაზო დაო, მე ნერილებს არ მოგაკლებ, მხოლოდ გთხოვ, შენც ხშირად მომწერო ვრცელი ნერილები. ეს ჩემთვის ძალიან ხაჭიროა. ნერილები უსათუოდ გადაუგზავნე კონსტანტინოპოლის ქალა.

შენც მისნერე, თუ გინდა. გაუხარდება. მეც გამიხარდება.

გვოცნი.

დამიკოცნე ჩემი ლამაზი, მოხუცი მამა.

შენი შალვა

ნერილები დელეგაციის სახელზე გამოგზავნეთ. ჩემი მისამართი ასეთია: Rue Kasimir Delavigne, 7.

მომიერებე ყველა ნათეავებიდა ყველა ნაცნობები, ვინც კი მიუვარს.

#### 14. დ.ი. შევარდნაძეს

პარიზი, თებერვლის 1, [1920]

გამარჯობა დიტო!

სალამი პარიზიდან. ვერ მოახდინა მან ჩემზე ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოველოდი. რაც შეეხება თვით ქალაქს, თქმა არ უნდა, მართლაც კოლოსალური და ლამაზი არის. მაგრამ ის, რითაც სახელი აქვს მას განთქმული, თანამედროვე მხატვრობა, საზოგადოთ ხელოვნება, უშუალო, ძლიერი, რიმელიც ახასიათებს დიდს, ძლიერ მხატვრულ ერს, ეს ჯერ ვერ ვნახე და ჩემს (რუსები რომ იტყვიან) რაზოვანიერი არა აქვს. დათიკო და ლადო (58) პანსიონში სცხოვრობენ და ფრანგულს მაცადინეობენ. ლადო ამბობს: ეს ოხერი ფრანგი ქალი მელაპარაკება, მიხსნის და არაფერი კი მესმისო. საზოგადოთ მხატვრებმა, როგორც ეხედავ, უნდა ვიცექიროთ მეტი ჩვენს გარშემო; უნდა დავინახოთ მელებმის ის, რაც სიძლიერეა მართლაც, და ახლებიდან ვისწავლოთ ის, თუ რის გაცემებაც არ არის საჭირო. შენ მართალი იყავი, ჩემო დიტო, როდესაც ამბობდი, რომ მხატვრისათვის სულ ერთია, სადაც არ უნდა იყოს ისო. ნამდვილი სიმართლეა. მე მეტს ვიტყვი: იქნებ, რაც ნაელებს ნახავ სხვას, მით უფრო მეტს შეუნარჩუნებ საკუთარს. ამაში მე თანდათან ვრწმუნდები. ახალგაზრდა საფრანგეთი ლეშია. ევროპა, ალბათ, კვდება. აქ ყველაფერი უკვე ითქვა იმ ენაზე, რა ენაზედაც ლაპარაკობენ. ყოველი წვრილმანი ბეგერა გამოსახულია ამა თუ იმ სახით. საჭიროა სხვა ენა, რომელიც თავის ბუნებაში მონახავს ახალი ფორმების გამომხატველ ინტონაციებს. ეს ახალი ენა კი ევროპაში ვერ შეიქმნება. აქ ფოლადი და ფული მეფობს. გარყვნილება სჭამს ევროპას.

რა ჰენა ჩვენმა გამოფენამ? (59)

მოინერე ყველაფერი. მისამართი: Paris. rue La Perouse, 37, Délégation géorgienne, pour Chalva Kikodzé.

მომიერებე ყველა. ქეთოს (60) და მიხაკოს (61) აქოცი.

გვოცნი. შენი შალვა.

დიტო! ეს ნერილი ასე შეგიძლია გადასცე: დაურევო 10-06 ამ ქალბატონს და იკითხო. ნაიღებს, საეუთარ ხელში არის საჭირო გადაცემა.



პარიზის გარეუბანი



ტანო ცისკარიშვილის  
პარტიული

### 15. გაბო ცისკარიშვილის

ქ. პარიზი, თებერვლის 6 [1920]

ძმაო გაბო! (62)

ეს ჩემი შენდამი წერილი მოკლე იქნება. მას მხოლოდ ის დანიშნულება აქვს რომ გაგრძნობინოს მთელი შენი უგულობა და უმეგობრობა. გაგრძნობინოს რომ ჩვენ, უცხოეთმი დაკარგულებს, მეტი სიფაქიზე გერვეენა გრძნობისა, ვიდრე თქვენ, რომელთაც ეს ხიფაქიზე ლამაზი ღმერთის და წარმტაცი ბუნების სილამაზემ დაავალა. ამ ჩემს წერილს ის დანიშნულება აქვს, რომ ჩემი მოლოცვით (დასახელება რა საჭიროა) დაგანახვო, რომ ამ მოლოცვის გამოხატვა მეგობრულ გრძნობაში მინდოდა.

დე, ეს წერილი სინიდისის საქეოჯნანა შეგექნეს, თუ მისი რამ კიდევ შეგრჩენია. ერთი შემოგხედოთ, დაგიგუბებიათ პირში მტკვრის წყალი და ცა ქუდათ არ მოგაჩინიათ და დედამიწა ქალამნათ. გადაცი ცუკლა ლანირავებს, რომელთაც ოდესაც ჩვენი შეგობრების სახელი ჰქონდათ, რომ თუ ოდესამე ჩემს უმაღლურ ცხოვრების ტრიალში წყევლისთვის განვებზადე, მათი სახელი მექმნება ამ წყევლის სიძლიერის გამოსახატავათ.

შალვა ქიქოძე.

P.S. ყოველ შემთხვევაში წერილს რომ გიგზავნი ისე გადაეცი, რომ მის ხელებში მოხვდეს. ეს მაინც შემისრულე.

ეს გაზეთის ამონაჭერი რომელიმე გაზეთში მოათავსებინეთ (მე მფონია „ნორი“ სჯობია), როგორც პარიზის რუსული პრესის დამახასიათებელი საქართველოს საკითხში.

გაზეთის სახელი „Последние новости“.

გ.ქ.

### 16. ა. ქიქოძეს

თებერვლის 15, [1920]

ლამის 12 საათი.

ძვირფასო ანეტა!

ფრანგულათ მოგწერდი წერილს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ, ჯერ ერთი, ქართულად მინდა ნერა; მეორე, როგორც მახსოვს, შენ არ იცი ფრანგული, და მესამე, არც მე ვიცი ის (ყოველ შემთხვევაში იმდენათ, რომ წერილი თავისუფლად დავწერო). ასე რომ ეს წერილი ორნაირად კარგია: ის ორი ადამიანის მოთხოვნილებას აქმაყოფილებს. ალბათ, როდესაც ამ წერილს დავამთავრებ, ე.ი. მაშინ, როდესაც აქედგან ნამომლები გამოჩინდება, ფრანგული გვარიანად მეცოდინება, იმდენად მაინც, რომ ორი სიტყვა დავწერო. ასე რომ ჩემს წერილს უფრო დღიურის ხასიათი ექნება. მე ამ წერილებში ეილაპარავებ ყველა იმას, რასაც ჩემს თავს ველაპარავები ხოლმე მოსაუბრის უქონლობის გამო. ამ წერილებში მე რიგ-რიგად ავწერ იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც, ალბათ, დროსთან ერთად ცვალებადი იქნებიან. მით უფრო მეტი ინტერესი ექნება მას შენთვის, შენ შეგეძლება ამ წერილების საშვალებით ისე მიგულვო მე, თითქოს შენთან ვიყო. მე ამას ვცდილობ მხოლოდ. მე დიდი სურვილი მაქვს თქვენთან ყოფნისა და, როდესაც ეს რეალურად შეუძლებელია, მაშინ მისთვის საჭიროა ყველა ამქვეყნიური საშვალებანი. როდესაც ამის ნერას ვინცებ, ცოტა ავადა ვგრძნობ თავს და მასთან ერთად ცოტა მარტობასაც ვგრძნობ, რომელიც ობლობის გრძნობას ემსგავსება. მე მფონი, ეს ავადმყოფობის ბრალია. შეიძლება უზარმაზარი მანძილი, რომელიც ჩვენ გვყოფს, ჰემნიდეს მას. ისიც შესაძლებე-

ლია, რომ ეს ნუთიერი სისულელე იყოს და, როცა წერილს გადავიკითხავ, შეიძლება ეს ხაზი ამოვბალო, მაგრამ ამ ნერილს არ გადავიკითხავ. მიცყვები მას ისე, როგორც ბილიკს მიჰყვებიან, უკან მოუხედავათ.

ჩემს პირველ წერილში, რომელიც დიდი ხანია მიღებული გექნებათ, როგორც მახსოვს, ბევრ სიმართლეს ვწერდი (სიმართლეს მე იმას ვეძახი, რასაც მე ვგრძნობ და ვაზრობ), მაგრამ, მონი, ბევრი იყო იქ აგრეთვე ისეთი ადგილები, რომლებიც, თუმცა ვრძნობას მიეწერებიან, მაგრამ ცოტა ნერვებმოშლილ და უხერხემლო ვრძნობას. იმ ნერილებს არ და[ც]უბრუნდები. შეადარე შენ და, რაც არ ვარგოდეს, წაბალე! თუ თქვენი სურვილიც იქნება, დავიწყებ იქიდგან, როდესაც გემი ფოთის ნაპირებს მოსცილდა.

ფოთიდან ეინწყებ მისთვის, რომ იქ ვნახე უკანასკნელად ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელსაც, ვიცი, ვუცვარეარ და ვეთილიც უნდა ჩემთვის და რომელმაც მტკიცნეულათ მომაგონა ჩემი საცოდავი, ძვირფასი დედა. ეს ადამიანი გერმანე მგალობლიშვილი (63) იყო, მხოლოდ ხელის ჩამორთმევადა მოვასნარი მასთან.

ფოთიდან ეინწყებ მისთვის, რომ იქ ვიგრძენ პირველად, თუ რა ძნელია თავის მინა-წყლის მოშორება. დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ არ დამუვირა. უფიქრობდი, სამშობლოს მე მგლეჯენ-მეთქი და არა მე ვძორდები-მეთქი მას. შეიძლება წყალშიც გადავმხტარიყავი წაპირადე საცურად, მაგრამ ამ ვრძნობასთან ერთად ბევრი სხვა მებრძოლი გრძნობები იყვნენ, ვრძნობები კეთილგონიერებისა და სიდინჯისა, რომლებსაც ჩევნ ასეთი სიმაცრით გვაჩვენეს ცხოვრება. კეთილგონიერება და სიდინჯე! .. ჰა.. უკანასკნელმა საქართველოს მწვერვალმა ზღვაში ჩაიყურყუმალავა და ზღვა შემოგვევლო გარშემო.

„მორჩა, ძმაო, შენი საქმე, ბევრიც ირბინო, ვეღარ ირბენ საილამდე! — გასძახა ერთმა კახელმა თანამგზავრმა ამხანაგს.“

არაფერი განმიცდია არასაღროს ამისგვარი. სხვაგანაც ვყოფილვარ აკი, ზიუათისგანაც [ც]მდგარუარ ახლოს, თავშიმუელი მივლია ცხენით აფარის მთებზე საშინელ იყდარში, გულის ფანცქეალით და აღტაცებით მიცერია ხევსურეთის და ფშავეთის საშინელ ჯერლმულებში და არასაღროს არსად შიში და ძრწოლა, ნერვების მოშლა და დაღლილობა არ განმიცდია. მაშინ კი გემის ბაქანზე განვიცადე ეს შიში, დაღლილობასთან და ნერვების მოშლასთან არეული. აღარ მინდოდა არსად წასელა, გამოვტყდები, სიყვარული, დიდი, საკვირველი სიყვარული მისი, რაც დავტოვე, ბობიქრობდა ჩემს მკერდში. აღტაცება, თითქმის თაყვანისცემა პატარა, ნიჭიერ ქეყნისადმი, რომელსაც ჩემი სამშობლო ჰქეია, ავსებდა ჩემს არსებას. მე ეხლა ყოველივე ამას უკვე დაწყნარებით ვნერ. მე ვნერ ისე, თითქოს ეს დაკინახე ჩემგან შორს, ენერ უშუალოდ, სრულიად ობიექტურად. მზათა ვარ, კრიტიკულადაც შევხედო ამ ვრძნობებს. მაგრამ ვანა ამაშია საქმე. ფსიქოლოგიურად არის საინტერესო ეს მომენტი. მე ჩემი მეორე ბუნება მაინტერესებს, რომელიც ხანდახან გამოიყურება ხოლმე. მე ის უფრო მიყვარს: ის მეორე ბუნება.

და მახსოვს, როდესაც გემზე ამხანაგები შობას და ახალ წელინადს ეხვდებოდით და მე თამადის როლში ჭიქით ხელში მო[ც]უნოდებდი ამბანაგებს, ძლიერი და სიყვარულით აღსავსე ცხოვრება ესურვებიათ მთაგორიან, ლამაზ სამშობლოსათვის, მახსოვს, ცრემლები მაზრჩობენ. ეს ცრემლები სიხარულის ცრემლები იყვ[ნ]ენ. სიხარულის მისთვის, რომ ჟემარიტად დიდია და მშვენიერი ის ქვეყანა, რომელსაც თავის შეიღმი ასეთი გრძნობების აღძვრა შეუძლია.



მდგრადი მთები



აჭარის მოტივი

მე გულის ტოკვით მინდა დავისახო დახუჭული თვალებით ის შორეული წამი, როდესაც გემის ბაქანიდან ისევ დავინახავ იმ ძვირ-ფას მთებს, რომლებიც ასე ცოტა ხანია, რაც დაეტოვე.

და ეხლაც კი, როდესაც ვიცი (გონიერებამ მომავონა), რომ ეს ჩემი გამომგზავრება აუცილებელი იყო, რომ ეს უნდა მომხდარიყო, რომ დიდ უბედურებათ ჩავთვლიდი საქართველოში დარჩენას; ვიცი, რომ დარჩენა ჩემი თითქმის უდრიდა ჩემს პიროვნების განადგურებას; რომ სხვა ქვეყანა, ცვალებადობა იყო ჩემთვის აუცილებელი საჭირო და არა ის სახელი, რომელიც ჩემს გამომგზავრებას ეწოდებოდა: სწავ-ლა, რომ პარიზი მხოლოდ განყენებული საშუალებაა ჩემთვის ენერგი-ის განახლების და დაგროვებისა. ეხლაც კი საკვირველი სურვილი მაქეს თქვენთან სასტუმრო ოთახში ჯდომისა თბილ ჩაის ჭიქასთან, არა მარტო ეხლა, სულ მუდამ. ხშირად დამე ცუდათ მძინავს ამ სურ-ვილებისაგან.

სტამბოლი ... ბოსფორის თავი. საკვირველი, მშვენიერი სანახაობა. თეთრი, თლილი ქვის სასახლეები, მარმარილოს ბოძები მოშავო აღმო-სავლეთურ მწვანის ფონზე. ქალაქი, რომელიც საშინლად ჰგავს უბრა-ლო აუდს, იმგვარი ყაიდით აშენებული. ერთი შეხედვით სათამაშო ქალაქს ჰგაეს: სახლები კოლოფებით ერთომეორებზე ნამოსკუპებუ-ლი არიან. მარჯვნივ და მარცხნივ — ნარჩენაცი სილამაზე. უეჭველად თავისებური, გაუმეორებელი. ბაღები, სადაც არავინ უნის, რა ხდება. [ჰ]არამხანები, გრძნეულ, მიბნედილთვალებიან ქალებით საგსე, ჩაღებე-ბი, სიზანტე, აღმოსავლეთური, მენამული სიზანტე. ეს არის მოსახლე-ობა სტამბოლის. მაგრამ სტამბოლიც მშვენიერია, დიადი და კოპნია მასთან ერთად. მაგრამ სტამბოლი ძალიან ჰგავს მუსულმანთა მოდგ-მის იმ ადამიანს [რომლის მხგავსნიც] ჩვენმიც ძალიან ბევრი არიან, რომელსაც ლამაზი თვალებიც აქვს, ნვერიც სუფთათა აქვს გაპარსუ-ლი, ნარჩინებულად აცვია ტანთ, ლამაზი მიხვრა-მოხვრაცა აქვს, მა-გრამ რომელიც საჭიროების დროს თავის გვარს და სახელს ვერ დასწრეს, ანდა რომელსაც ქვედა პერანგი შეიძლება ორი თვე, არ გამოუცელია. შიგნით — სტამბოლი სრული ნინააღმდეგობაა გარეგან სტამბოლის. თეთრი თლილი ქვის მეორე მხარე კუპრივით შავია. სიბ-ინძურე, ტალახი, ზანგი, ჭუჭყი, სიმყრალე ... ყველაფერი ... გარყვნილე-ბა, სასონარკვეთილი, დამბალი გარყვნილება. მიდიხარ ქუჩებში, აი სულ ახლო, მხოლოდ მარჯვნივ გაუსვევ უმთავრეს ნაწილიდან და დაინახავ კოშმარულ სურათებს: დაბალი სახლები, ვიტრინები ისე, როგორც მა-ლაზიებს აქვს, მაგრამ უფრო პატარები. ყოველ ვიტრინაში ზის ქალი გახდილი, ზოგჯერ ნახევრად, ზოგჯერ სრულიად, და ეპატიუება გამვ-ლელებს, უფრო ხშირად არაფერს ამბობს: უმოძრაოდ ზის, სრულიად ისე, როგორც მოდების მაღაზიის ტიკინები. მოიხედავ გვერდზე: დიდი ვიტრინა, რამდენიმე ქალი ერთად, სრულიად უჩვეულო პოზებში. იქვე ისეთი სურათები, რომლებიც ვერავითარ ანერილობას ითავსებს. აქ ატარებენ დროს უმეტესად შეზღვაურები და ის ადამიანები, რომლებ-საც ცხოველებისაგან მხოლოდ გაუგებარი მოულოდნელობა აშორებს. ქუჩებში სწრაფი ნითელფესებიანი მოძრაობა. ერთი რამ არის საოცარი სტამბოლში: აია სოფიის ტაძარი (64). აუნერელი სანახავია. გამანაც-გურებელი. გჯერა, რომ შიგ ღმერთი არის, ხმამაღლა ვერ დაპარაკობ, გრცხვენიან, კათაკმეველად გრძნობ თავს. ხედაც თავის სისუსტეს, უილაჯობას, პიროვნება შენი ითქვიფება.

ეს ერთადერთი დიდება, ისიც ბერძნების ხელით შექმნილი.

პირდაპირ მარსელისკენ გამოვემგზავრეთ. კარგათ მახსოვს, მშვე-ნიერი დარი იყო. დარდანელში ჩაძირულ გემებს გადავხედეთ და ევენი ზღვის ტალღებს მივეცით თავი. ამ გზამ სტამბოლიდან - მარსელამდე დამანახვა ზღვის საშინელება და მისი სილამაზე. არასდროს დავიკინ-გებ მას, რაც გამოვცადე. სტამბოლიდან მარსელამდე შვიდი დღე ვიყავ-

ით შუაგულ ზღვაში, ოთხი დღე კი – ისე, რომ გარშემო ვერაფერს ვთე-  
დავდით, გარდა ტლანქ, უზარმაზარ ტალღებისა და ტყვიისფერ ცისა.  
ჩვენი პატარა გემი ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა ამ უთანაბრო  
ბრძოლისაგან. ცოტა გვერდი შემტვრეული მიიტანა მარსელში, მაგრამ  
ეს ხომ არაფერია. ისიც კარგი, რომ სულ არ ჩაიძირა. ერთ დროს კი  
იყო მაგის საშიშროება. პრობეჭებზე ეჭირათ თვალი, პარკი, რომელიც  
გემს საქართველოს მთავრობისაგან მიპტონდა, დასველდა გეშში შე-  
სულ წყლისაგან, და შეა ზღვაში გემი გაჩერდა დილის 8 საათზე. დაუ-  
წყეს კეთება. ათრთოლებული მატროსები სასწრაფოდ უშვებდნენ  
ძირს თოვების კიბეებს და გაფიორებული, მაგრამ აუღელვებელი კაპ-  
იტანი ბრძანების კილოთი გასძახოდა დარიგებებს. გემი ცოტა გად-  
მოხარეს ერთს გვერდზე და ვა[ვ]უდექით საშიშრო გზას.

ლამაზი იყო ზღვა, დიადი იყო. ტალღები ნამდვილ მთებს ჰგავდენ.  
აპა, გვინია, ჩაშკო ცხვირი გემმა ტალღაში და ზღვა ზედ გადმოგვ-  
აბიჯებსო, მაგრამ იმავე წუთს გემი ცხენივით დაეყუდებოდა და ტალ-  
ღას თავზე გადააგორდებოდა. თუ ამ დროს საუზმედ ან სადილად ვიჟე-  
ქით, შენი მტერია, ჩვენ დღე გვადგა: ბოთლები და თეფშები საშინელი  
ხრიალით მისცვიონდა იატავზე.

ყმანვილები მკვდრებივით ეყარნენ, ზოგს სისხლს აღებინებდა,  
კაუტებში საშინელება იყო. მე, სრულიად ჯანსალი, მთელ დღეებს  
ბაქანზე ვატარებდი და მხოლოდ ერთი ფიქრი — რომ ამ მოსალოდნელ  
კატასტროფასთან შენ, ადამიანი, მთელი შენი ჭკუით, მთელი შენი  
აზრით, ლონით და ხერხით არარა ხარ, — მახელებდა მე. არ მინდოდა  
ზღვაში დაღუპვა. ეს მართალია, პარიზში მისვლას ვარჩევდი, რადგან  
პარიზი საქართველოზე უფრო ახლო იყო.

მარსელი. ავადმყოფების განკურვნა. პარიზი, უძილო დამუ, მსუბ-  
უები კოშმარი. დავილალე, დაო; 11 საათია. მეტინება, დამე მშვიდობისა,  
სხვას მერე დავნერ, მას, რაც პარიზში მოხდა. მამას აკოცე წვერებ-  
ში. ლამე მშვიდობისა ... მეტინება ...

## 17. ა. ქიქოძეს

თებერვლის 17, ღამის 11 საათი

ეხდა გავათაეე მაცადინობა. დავნერ რამდენიმე ხაზი. ცოტა დალ-  
ლილი ვარ, საშინლად ვიღლები, ბევრს ვმუშაობ. ჯერ უმეტესად ენას  
ვუზივარ. დიდი ბრძოლა გვაევს: ხან ის მამარცხებს, ხან მე. მაგრამ  
ბრძოლა ჯერ კიდევ მემძლებია.

არსებობს ორი პარიზი, ანეტა, ორი პარიზი, რომელიც ერთმანეთს  
დალიან ნაკლებათ ჰვავს. ერთი არის პარიზი მოხეტიალე, მსუბუქი, ფუ-  
ქავატი, ავადმყოფი, ნერვებიანი, პარიზი ნარჩინებულთა. ამ პარიზის  
ცხოვრება უმეტესად შენ თვალწინ არის, იმდენათ ნათელი და სიღრმეს  
მოკლებულია ის. ქუჩა და რესტორანი არის მისი ასპარეზი, ან კიდევ თე-  
ატრი, ან კონცერტი. მეორე პარიზი, პარიზი მომუშავე, ჩუმი, კორძებიანი,  
ის პარიზი, რომელიც, დაღლილი, ღამით აღრე ეძლევა ძილს მაშინ, როდე-  
საც პირველი პარიზი აფეთქებულ ცხოვრებას ატარებს. ქალაქის ის ნან-  
ილები, რომელ[თ]აც მეორე პარიზი ენიდება, უფრო მშვიდია, უფრო საქმი-  
ონ. ეს ორი ქალაქია, ძალიან დაშორებული ერთმანეთს — არც კი გჯერა,  
რომ ეს ყველაფერი ერთად ხდება. უაღრესად ბურჟუაზიული ქვეყანა  
ნარმოუდგენელია. აქ ყველაფერი დაყოფილია კლასებათ. ტრამვაიც კი  
სამ კლასათ არის დაყოფილი. პირველი — უფრო ძვირი, იქ მხოლოდ მდი-  
დრები სხდებიან. მეორე — ნაკლებად ძვირი, შეათანა ხალხისთვის, და  
მეამჟ — ფეხზე გასაჩერებელი, უფრო იაფი ... ტრამვაიც კი ... მეტროც  
(მეტრო ენოდება ქვესკნელის მატარებელს) ეგრე არის დაყოფილი. ნარ-  
ჩინებული არაადროს შევა მეორე კლასში, არც მოხელე შევა პირველში,



ა. ქიქოძე



მისტერიული ნატურა

თუმცა მხოლოდ 2 სუთი არის განსხვავება. ეს არის პირველი, უმთავრესი საძაგლობა პარიზისა. არც ერთ ქვეყანას არ სჭირია ბოლშევიზმი.. ის მხოლოდ საფრანგეთს სჭირია. აქ ბოლშევიზმის გამანადგურებელი ძალა არის საჭირო, რომ ეს ხალხი სიკვდილს გადაარჩინოს; მისთვის, რომ მხოლოდ ბოლშევიზმს შეუძლია მოქლე ხანში ადამიანთა ფსიხიკის გარდაქმნა. ეს გარდაემნა სჭირდება საფრანგეთს, ამის გამო არის ყველაფერი დამყაყებული ეხლა საფრანგეთში. ყველაფერი გემოვნებას არის მოკლებული. არავითარი ძიება არც ერთ დარღმი, არავითარი აზრი. არის დიდი აღტაცება გამარჯვებით. ეს აღტაცება ყველაფერში იხატება, ხელოვნებაშიდაც, ზაგრამ ძალიან უმნოდ, ტენდენციურათ, კერძოდ ხელოვნებაზედ შემდეგ ვისაუბრებ ბევრს, როდესაც უფრო ადვილი იქნება, ეხლა მხოლოდ გაევრით აღვინიშნე ... ის მიზეზები, რომლებიც აქვეითებენ საფრანგეთის ეულტურას. ხელოვნებას მომორჩებულია ის ელემენტი, რომელიც განსაკუთრებულად არის მონოდებული მის შესაქმნელად. მოყურადე ნაწილს არა აქვს მოთხოვნილებები და ყველაფერი მისთვის კეთდება. კეთდება ის, რაც სქელ ჯიბეს მოსნონს.

ნამდვილი ხელოვანები პატარა მაღაზიებში და პატარა გალერეებში იფარებენ თავს რჩეულთათვის. ასეთი რჩეულები კი ცოტა არიან. უმეტესად უცხოელებია ისინი. ასე რომ პარიზში რომ მოხვიდე, პირველ ხანს განცვიურებული ივლი (როგორც მე), ვერ გაიგებ, რისთვის არის, რომ ყველაგან საძაგლობას აჩვენებენ? რისთვის არის, რომ უგემურებას ხალხი ტაშს უკრავს? რისთვის მეცობს უგემურება? გამოქცევას დააპირებ. რისთვის, რის სანახავად მოველით? — ჰყითხავ თავს. ლამაზი ქალაქის? მშვენიერი ქუჩების? ქალების ნარმტაც ფეხების? მხოლოდ ამისთვის? ეს იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება. როგორც ხედავ, ბევრი დარჩა მისგან, ბევრიც ავხსენი. ასე სჯობს: ის ამოცანა უფრო მოგწონს, რომელსაც სიძნელით ხსნა. სხვა შემდეგ ... ვიძინებ ...

### 18. ა. ქიქორეს

#### თებერვლის 20

მაგრამ პარიზი ძალიან ლამაზი ქალაქია, ულამაზესი ... იმათში, რომელ[ებ]იც მე მინახავს. მათი რიცხვი კი დიდი არ არის. მაგრამ საზოგადო აზრიც ასეთია, რომ პარიზი ულამაზესი ქალაქია: ვერა სახლები, რომლებიც ერთმანეთს ძალიან ჰყეანან, ვერც კი გაარჩევ ზოგჯერ, სულ ერთ ყაიდაზე არიან აშენებული; დიდი, ფართე და სწორი ქუჩები; საშინელი, გამაბრუებელი მოძრაობა ქუჩაში, ისეთი მოძრაობა, რომელიც სულ ცოტა ხანში გაყრუებს, გლლის, ნერვებს გიშლის, ფერს გივარვავს. დაბრუნდები სახლში მას შემდეგ, რაც ორი საათი დაპყავ ქუჩებზე, და ისე გრძნობ თავს, თითქოს ძალიან გცემეს, ან შორი, გრძელი გზა გამოიარე. ასეთ დაღლილობას ეგრძნობდი მე საზოგადოთ ერთი ან ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ. არ შეიძლება აქ დიდხანს გარეთ ყოფნა. მოკვედები. მაგრამ ჩემთვის, უცხოელებისთვის, ეს შეუძლებელია, რადგან ქალაქს დათვალიერება უნდა. ეს დათვალიერება კი უზარმაზარ დროს თხოულობს. ამისთვის არის, რომ ჯერ ვერ შეველ კალაპოტში. დღე არ მყოფნის სრულიად, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ საათს არ ვკარგავ ტყუილუბრალოდ. ამ ერთ თვეშ ისე გაირბინა, რომ ვერც კი შევამჩნიერ მგონია, თითქოს ერთი წელინადია, რაც ჩამოველი, მაგრამ დროს, სიკრცეს კი ვერა ვერძნობ. ყველაფერი ერთმანეთში იხლართება. დავინწყებ იმ შთაბეჭდილებებიდან, რომელ[ებ]იც მივიღე სურათების გამოფენებიდან, ეს ჩემი საგანია. მერე თეატრებზე გადავალ, ეს კი შენი საგანია.

ბევრი გამოცენა ვნახე, ყველა ძალიან უმნო: ათასი სალონები, ათასი სკოლები, ათასი მიმართულებები. არსად ძიება, არსად გემოვნება. Ecole Française, Salon d'Hiver ... Indépendants – ვერძო ბევრი სხვა და სხვა სახელებით. Indépendants (დამოუკიდებელთა) გამოფენა ყველაზე

უფრო საინტერესო იყო მით, რომ იქ ყველაფერი იყო გამოფენილი, ჩემს გარდა; იყო გვარიანი სურათები, მხოლოდ გვარიანი. სკულპტურაში მეტი საინტერესო ვნახე. მხატვრობა ძალიან კოჭლობს. სხვა გამოფენები საშინელება იყო. სახალიწებები შეიძლება ასეთი გამოფენის მოწყობა, ხალხი კი უცქერის, დაზის, ყიდულობს, საზოგადოთ გამოფენები ... უა ... საშინელებაა.

ვნახეთ მხოლოდ ... ვიყავით მე, ვიორგი მაჩაბლის ცოლი (65) და ზურაბ ავალიშვილი (66), მატისის სურათები, უკანასკნელი ხანის, მართლაც საინტერესო (67). ესარის და ეს ჯერჯერობით. ენახოთ შემდეგში.

თეატრები. ჩამოგითვლი, სადაც ვიყავი: დიდ ოპერაში, „ოპერა-კომიკში“, მანზელიზეს თეატრში, ანტუანის თეატრში და კიდევ ზოგ პატარა თეატრებში. დიდ ოპერაში და მანზელიზეს თეატრში რუსები ვნახე, მათზე — მერე, რუსეთზე საზოგადოთ — მერე.

ეხლა ფრანგებზე. „ოპერა-კომიკ“. ეს ითვლება საუკეთესო თეატრათ. მოვისმინე „ტოსკა“. ტფილისში უკეთესად არის დადგმული, ღმერთმანი. ტფილისშიც ხომ საშინელებაა, აქ რაღა უნდა იყვეს, ნარმოდგინე. სარაჯიშვილი (68) და ზალისკი (69) ბევრათ უფრო კარგათ მღერიან აქაურ მომღერალზე (რომელიც მოვისმინე), ტოსკა ჩვენს ცენაზე საუცხოვო იყო, აქ — საძაგელი. და, როდესაც კავარადოსიმ საძაგლად იმღერა უკანასკნელი არია, თეატრი კინალამ დაანგრიეს ლრიალით. მე ვიფიქრე, დაიღუპა ეს აქტიორი, უსტვინეს-მეთქი. შენც არ მოშეკრდე, ის საშინლად ნაძღერი არია გაამეორებინეს!

ანტუანის თეატრი. ვნახე რაღაც ისპანური პიესა, საძაგლათ დადგმული, საძაგლათ, პირდაპირ უშნოდ, უგემურათ. უგულო თამაში, დაუფიქრებელი, აუდელვებელი. დაზეპირებულ როდს უსუფლიოროთ კითხულობენ. რამპა არა აქვს თეატრს, განათება ზემოიარუსიდან არის. ანტუანის თეატრიდან საშინელი შთაბეჭდილება გამოვიტანე. მე ძალიან ვეჭვობ (მაქვს ძმისი საბუთები), რომ ბატონი ჯაბადარი ოდესმე იყო ანტუანის თეატრში; მაგრამ, ვთქვათ, იყო, ეს მის საქებლად არაფერს დაპარაკობს.

ანტუანის თეატრიდან მხოლოდ ისეთი რეჟისორი შეიძლება გამოსულიყო, როგორიც პ. ჯაბადარია.

ეხლა ორი სიტყვა ანტუანის თეატრის რეჟისორზე — ევმიეზე (70), რომელიც საფრანგეთის საუკეთესო რეჟისორად ითვლება თურმე. ენახე მის მიერ დადგმული და მისიერ მონანილეობით ცირკი „Oedipe, roi de Thébes“ (71), მაგრამ ეს ის „ოიდიოთეს“ კი არ არის, რომელსაც ჩვენ უცნობთ, ეს გადაკეთებული ტრაგედია არის, ატლეტებისა და უამრავი ხალხის მონანილეობით. ცირკში დიდი, უშნო კოლოფი, რომელიც ძალიან ჰგავდა სპიჩა „ლაფშინას“ კოლოფს, იყო დადგმული და ამ კოლოფში სარმოებდა ხელოვნების საშინელი პროფანაცია.

რუსები ... აი ერთადერთი ნათელი, რაც ვნახე მე აქ. დიდ თეატრში (Théâtre de l'opéra) დიაგოლევის ტრუპა (72) ასეთი მოცეკვავებით, როგორიც არიან: კარსავინა (73), კარალლი, მისანინ, სვობოდა (74) დასხვა.

მეორე განსაკუთრებული რამ, რაც ჯერ არ მინახავს — პავლოვა. ეს მოცეკვავე არ არის, ასეთ სახელს მას ვერ დაარქმევ, ეს ღმერთია, ციც მოვლენილი ანგელოსი. მის სპექტაკლიდან განადგურებული გამოდიხარ. საშინელი, დიდი, მოზღვავებული შთაბეჭდილება გამოგაქვს თეატრიდან და ღამე ვერ იძინებ.

ეხლა რუსეთზე. რა კარგი არის, როდესაც გაიცნობ ქვეყნებს. არაფერი სჯობს საზოგადოთ მოგზაურობას, მაძინ მაინც, როდესაც იცი, რომ შეგიძლია შეფასება. მევიცი, რომ ეს შეფასება შემიძლია. ვიცი, რომ (ეს დიდი ნარმოდგენის შედეგი არ არის. ეს არის შედეგი იმ დიდი უგემურებისა, რომელიც მე აქ ვნახე). დაუკითხავათ, ნარბშეუხელად შევძლებული დავდო ამა თუ იმ ქმნილებს ხელოვნებაში მისთვის, რომ ხელოვნებასთან ყოველთვის უშუალოდ, ფაქტიზი გრძნობით მივდივარ და მტკიცნეულად ეგრძნობ ყოველივე სიმახინჯეს და მანქვა-გრეხას.



დირიჟორი ა. რუბინბერგი  
პულტთან



კახტანე ლაშბაძის უკრაინ  
მხოლოდინობი

და ქვეყნების ნახევას მხოლოდ ერთი დიდი გამართლება აქვს: შესძლებ ნამდვილ შეფასებას. მე თეატრის ხელოვნებაზედ ვიღაპარაკებ. რუსეთი და საფრანგეთი, თეატრი, ხელოვნება! რა დიდი მანძილია! რა სიღრმე და სიმშვიდე ერთი მხრით, რა ფუქსავატობა და მანქიაობა — მეორე მხრით. რა აზრი, დიდი, ძლიერი აზრი მთელი ძარღვების წამოზიდვა, სიყვარული ვევბა, ფართე და თაყვანისცემა ხელოვნებისა — რუსეთში ... რა სიმახინჯე ... რა უილაჯობა, რა შემოქმედების უხერხემლობა. სიჩლუნებე აზრის გრძნობის, გამოთაყვანება, ნამდევილი რასიული გამოთაყვანება. გერონტი (75) ძალიან ჭკვიანი კაცია, როდესაც მან ტფილისში მითხრა: „შალვა, ნუ მიდიხარ, იხანებ, ევროპა მოკვდაო!“; მე გამეცინა და გერონტის ეს სიტყვები ცოტა მის დაღლილობას და ნერვების მოშლას მივაწერ.

რა სიმართლე იყო მის სიტყვებში: „ევროპა მოკვდა!... დიდი სიმართლე! ევროპა ლეშია, ის ლეშია, რომელსაც მატლები ესევა და რომელსაც საშინელი გახრნენის სუნი ასდის. მე არ ვიცი, რა ძალას შეუძლია შეაჩეროს ეს რდვევა. რევოლუციას? შესაძლოა მხოლოდ მას, სხვას არაფერს.

მთელი სილამაზე, მთელი სიმდიდრე ევროპის ნარსულში, შორეულ ნარსულშია, ახალი დროის კითხვებს, ახალი დროის გრძნობებს და აზრს მის მჭდე და მშრალ მსჯელობას არ შეუძლია პასუხი გასცეს.

შენთვის ერთი რამ უნდა იყვეს ცხადი, ჩემი ანეტა: სასცენო ხელოვნების ატელიეს ფანჯარა მხოლოდ ჩრდილოეთისკენ უნდა იცეირებოდეს.

## 19. ა. ქიქოძეს

### თეატრულის 23

ლამის 12 1/2 საათი.

ეს არის ეხლა დაეპრუნდი ბრონისლავ გუბერმანის კონცერტიდან. შენ იცნობ მას. ალბათ გახსოვს, ტფილისში ხმები გავრცელდა, რომ გუბერმანი მოკვდაო. როდესაც მისი აფიშა ნავიკითხე, კინალამ წავიდეც კი მოულოდნელობისაგან: [მ]ევდრები სდგებიან — მეთქი საფლავიდან!

დღეს მეორე კონცერტზე ვიყავი. დაუკრა ბეტხოვენი, შუბერტი, ჩაიკოვსკი და სხვა. პირველ კონცერტზე ბეტხოვენის „კრეიცერის სონატა“.


ძნელია ანერა. აბა, მე, უბრალო მომაკვდავს, ვინ მომცა ის სიტყვები, რომელთაც ძალუები ისე სხარტულათ, ისე მსუბუქათ გამოსახოს ეს დაკვრა, როგორი სიმსუბუქითაც მან გადმოგვცა გრძნობათა მთელი ზღვა. ასეთი სიტყვები ჯერ არც არსებობენ. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ გუბერმანმა დაიპყრო და დაიმორჩილა ის ხმათა სამეფოები, რომლებიც ბეტხოვენმა, მოცარტმა, შუბერტმა, ვენიავსკიმ (76) და სხვათ აღმოაჩინეს. ქუჩაში აცეტებულივით მიყრბოდი; ასე ვირბინე სახლამდე ძალიან დიდი მანძილი. არ ვიცი, რათ. მინდოდა, იქნებ საკუთარ თავს გავქცეოდი, რომ უფრო დამშვიდებულათ მიმეღლო ყველაფერი.

ეხლა კი ძალიან დაღლილობას ვერძნობ. თითქოს რაღაც ამომგლივეს თავიდან და გულიდან.

ის გუბერმანი ცოტა დაბერებულა, ბელატი გამოსჩენია, გამხდარა, დაპატარავებულა უფრო; სახე გენიალური; გაფითრებული, ძალიან ულამაზო, თითქმის უშნო. დაკვრის დროს ეს სახე ზღვასავით იცვლის გამომეტყველებას. მისი სახე მისი მეორე სერიპერა. ელამი თვალები სავსეა მთელი იმ ხმებით, რომლებითაც სავსეა მისი ჯადოსნური ინსტრუმენტი. ის თითქმის ღმერთია. ასე ჯერ არაეს დაუკრავს. ასე ჯერ არავის უმღერია ქებათა ქება ცხოვრებისათვის — ასეთი სახით, ასეთი ხმებით. არსებობენ ცხოვრების პატარა ღიმილები მაშინ, როდესაც თვალები აზრით არიან სავსე.

## 21. ა. ქიქოძეს

მარტინ 3

რადგანაც პირველი წამომღები არ აღმოჩნდა, შეორე მგზავრისთვის ცოტას კიდევ დაენერ, რადგანაც ძალიან მეჩქარება. სულ ველი თქვენგან ნერილს, მაგრამ ამდენს ხანს არაფერი არის, არც არვინ ჩამოსულა. აქ ხმები არის, რომ სიძვირემ უფრო მეტად იმატა და მდგომარეობა პოლიტიკაში გართულდა ბათომის საკითხებზე (79). ასეთი გამოურკვევლობა ჩვენთვის ეხლა აქ ძალიან ძნელია. ხშირად ვაკითხავ დელეგაციაში (80), ხომ არაფერია-მეტე, და ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მესმის: არაფერია.

მინდოდა შენთვის განმეორდო ჩემი დღიური, მაგრამ მგზავრის აჩერებამ და დიდმა მუშაობამ ხელი შემიძლეს. დროს, თავისუფალს, მარცვლებათ ვკრებ, რომ ცოტა დავისვენო. როდესაც სახლში დავბრუნდები, ალბათ, ხიკვდილს დავემსგავსები. შესაძლებელია სულ ადრე მომიხდეს დაბრუნება. სამინელი სკეპტიკი გავხდი. ვინ იცის, როგორ შეტრიალდება მდგომარეობა, რა მოხდება აქ ან ჩვენში. ბოლშევიკები სულ იმარჯვებენ დაჩივრების საზღვრებს უახლოვდებიან. შესაძლებელია, რომ ერთს მშვენიერ დღეს ჩვენი მთავრობა ვერ დაუმაგრდეს მოზღვავებულ მტრებს. ეს ღმერთია ნუ ქნას. ჩვენ, შიმშილის გარდა, უფრო ადრე დარჩი და სასონარკვეთილება მოგვეკლავს.

საფრანგეთში ყველა რეინის გზის ბადებზე საერთო დიდი გაფიცვა იყო. ერთი აურზაური ასტეხეს. მე, გულუბრყვილო, ვფიქრობდი, დაინკო-მეტე, გუშინ დამთავრდა ძალიან მშვიდათ. მუშები დაუბრუნდენ თავის საქმეს, მაგრამ, ცხადია, ასეთი ამბები აქ გამეორდება, რადგანაც სიძვირე დღითი დღე მატულობს და პოლიტიკაშიდაც ვერ არის ნათელი გორიზონტი. მდგომარეობა ძალიან გართულებულია. ჩვენი დელეგაცია მაღე დაპეტავს თავის პორტფელს, გამოემგზავრება საქართველოს სენატი და დაურჩებით ჩვენ, როგორც ნარმობა დგენერალი ახალგაზრდა ჯანსაღი რესპუბლიკისა.

ნერილს ვერ გავაგრძელებ, სხვებისთვისაც მაქვს დასაწერი. ვიჩერი, გაცნობო, ანეტა, რომ გუშინნინ ვნახე აქ ერთი პატარა, სულ პატარა თეატრი, ძალიან საინტერესო ჰქვია: „Théâtre de vieux colombier“; Teatr старой голубятни – საუკეთესო თეატრია პარიზში. შეესპირის „ზამთრის ზღაპარი“ (Conte d'Hiver) მიდიოდა. ბევრი იყო მაინც შეუფერებლობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჭკვიანი და საინტერესო თეატრია. ამ თეატრში ნაფელი მისთვის, რომ ამას წინათ ვადმომცეს: ყუშია-ტაშვილს ამ თეატრის რეჟისორთან (81) ჩემზედ ჰქონიათ ლაპარაკი და რეჟისორს უთქვაშს: საინტერესო არის, გავეცნო მის აზრებს თეატრზე. შეიძლება მიმინვიონ ამ თეატრში, იქ შეიძლება მუშაობა, ვნახოთ, მოინერეთ ყველაფერი დაწერილებით. მოკითხვა ყველას:

თქვენი შალა.

## 22. გ. ქიქოძეს

თებერვლის 26, 1920 წ.

ლამის 12 საათი.

ძეირფასო მამა!

ორი თვე შესრულდება ჩემა, რაც პარიზში ვცხოვრობ. ჩემს აქ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, იმდენათ პარიზისთვის არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ჩემთვის. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ცხოვრება პარიზში პარიზისათვის სრულიად ხელსაყრელი არ არის, რადგან ამ ცხოვრებაში სრულიად (თითქმის) გაძარწყლა ჩემში ის მოოქრული ნარმოდგენა მასზე, რომელსაც ტფილისში ვკრებდი.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ევროპაში მყოფი თან დასდევ-დათ ერთი დიდი ნაკლი; უკარდათ მათ ძალიან, როდესაც ჩვენისთანა პროეიციელები მათ პირდაღებული უცქეროდენ და თაყვანს სცემ-დენ: „ო, ეს ყმანვილი? რას ამბობ, ევროპაში ნამყოფია”. ასე ეიზრდებოდით ჩვენც და დიდ სიმშევიდეს და კმაყოფილებას უნდა განიცდიდეს ის ადამიანი, რომელსაც შეიძლება ეძლევა თვით დააფასოს სხვისი დაფასებული. ასეთ ქმაყოფილებას განვიცდი მე (სხვა უკამაყოფილების გარდა). ჩემს აქეთ გამომგზავრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. ვნახავ ყველაფერს, დავაფასებ, მეცოდინება, რა არის ქვეყ-ანაზე, რა არის კარგი, რა — ცუდი. შემეძლება ეუპასუხო მას, რომელიც შეეცდება საპნის ბუმტები გაპერიოს ევროპის ამბებით, მაპინ დავმშეიდდები. რუსები ამბობენ: „Там хорошо, где нас нет”. სწორედ რომ ასე კოფილა. თვით პარიზი მე მხოლოდ ერთი ნლით დარჩენას ვაპირებ. შემდევ შევასრულებ პატარა მოგზაურობას. ვნახავ ლონ-დონს, ბელგიას, შვეიცარიას, ისპანიას, იტალიას, გერმანიში გადავალ და, თუ შესაძლებელი დარჩა, რუსეთის გზით დავბრუნდები სახლში. თუ ლმერთმა მომხედა და ფულები დამირჩა, შეიძლება ეგვიპტეშიც შევიტვრიტო ცოტა.

შენ გაგეცინება და იტყვი, ალბათ „შე დალოცვილო, ევროპა ხევ-სურეთი ხომ არ არისო”.

მართალია, არ არის. ხევსურეთი უფრო კარგია. ენებს მინდა გავეცნო. ფრანგულს ხომ ვისნავლი, ალბათ. თუ გერმანიაში დავრჩიმერეორი, საში თვე, იქაც შევიძენ ცოტას. ამის მერე კი ინგლისურის ცოდნა ადვილი იქნება. დელვგაცია ძალიან ყურადღებით მოგვეპყრო მხატვრებს, რამდენადაც შეძლოთ. თეოთონაც ლარიბები არიან. თვეში პარიზში მცხოვრებთ გვაქვს 700 ფრანკი. თვეურათ მხატვრებს დელევაციამ თავის სახსარიდან მოგვიმატა 100 ფრანკი და ერთდროულად მოგვცა თითოს 200 ფრანკი ფერადების შესაძნათ. მიუხედავად ყველა ამისა, მაინც ძნელია აქ ცხოვრება. დღითი დღე ძვირდება ყველაფერი. ფრანგის კურსი ეცემა. ჩემს 9 გირვანქა სტერლინგზე მე ბეჭრი მოვიგე. 9 გირ. სტერლინგში მივეციმე 7500 მანეთამდე, მამინ როდესაც ფრანკი დირდა 25 მანეთი. 7500:25=300. მაშასასადამე, ამ ფულით მე მხოლოდ 300 ფრანკს ვიყიდდი ტფილისში, აქ კი თითო გირვანქა სტერლინგი გავყიდე 48 ფრანგათ და 9 გირ. ავიღე: 48X9=432 ფრანკი. კიდევ რომ დამეცადა, მეტად გავყიდდი, მავრამ შემეტინდა ანევის. ასეთი ჯამაგირი რომ ტფილისში დამინიშნონ, ე.ი. 800X25=20.000 მანეთი, ეხლავე ჩამოვალ ტფილისში.

ყოველივეს დანვრილებით, მამა, ვინერები ჩემს დღიურში. უკანასკნელად ერთი თხოვნა.

როდესაც დავბრუნდები და შენ ჩემს დეპეშას მიიღებ: „მოვდივარ. ვიქენები ამ დროს”, სიტყვა მომეცი, რომ ფეხით გამოხვალ სადგურზე და დაგვიანებულ მატარებელს ბაქანზე სამი საათი დაუცდი.

ამისი სიტყვა უნდა მომცე, ჩემო კარგო მამა.

გეოცნი ბევრა ჭალარა წევრებში.

შენი შეიღლი შალვა.

მოკითხვა და კოცნა ყველას, ვინც მიყვარს.

## 23. დ. შევარდნაძეს

პარიზი. მარტის 3, (1920)

როდესაც ამ წერილის წერას ვიწყებ, ჩემო დიტო, ლადო (82) ჩემს ნინ ზის სავარძელში, რაღაცას ხატავს და თან ამბობს: „შალიკო, შენს ბუხარში რომ გაზეთები დაიწვა ეხლა, იმდენი ფრანგული სიტყვა რომ მე ვიცოდე, რაცი მე გაზეთებში იყო, რა ბედნიერი კაცი ვიქენებიო”. ჩემს ბუხარში ხუთი გაზეთი დაიწვა. ყველა გაზეთების სიტყვები რომ ლა-



სტევი გორგაშვილი



არსებიდ მრიანი

დოს სცოდნოდა, მხატვარი კი აღარ იქნებოდა, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ ამოიჩინებდნენ.

ვსწავლობთ ფრანგულს. ლადო დამწუხრებულია, არაფერი გამოისომ. მეც ბავშვურ ხანას და[ვ]უბრუნდი. ვზივარ ხშირად მარტო და დაბაოქებული შებლით ვყითხულობ შემდეგ ფრაზებს: „თუმცა ეს დამაზი, მრგვალი ვაძლი ძალიან გემრიელია, მაგრამ ჩემი ძმა შარლი ცუდათ უკრავს სკრიპქას“. ან ასეთს: „მოუხედავად იმისა, რომ ეს მაღალი, შესაბიძნავი ხე ძალიან მწვანე და ლამაზია, მე შენთან დღეს არ მოვალ“. პარიზი ჭიანჭველების ქვეყანას ჰვაბეს. კუთხე არ არის დაუჭერელი, ორი კვირა ვეძიებ მარტო ოთახი, პატარა, უგათბობობ, სადაც ამ უამათ ვცხოვრობ. თითქმის ორი თვეა, ატელიეს ვეძებ, პარიზის ეს ვიცი უკვე, როგორც ჩემი ჯიბე. არც ერთი კუთხე არ დამიტოვებია. ყველგან ვეძებ, საჩუქრებიც დავპირდი კონსერვატებს, არაფერი გამოვიდა. დამეკარგა სრულიად იმედი ატელიეს შოვნისა. არ ვიცი, რა ვქნა. ისევ სასტუმროში უნდა მოვენიონ. ორი ოთახი უნდა ავიღო, რომ ერთი მათგანი ატელიეს მაგივრათ მოვახმარო, მაგრამ ეს საშინელი ძეირი დამიჯდება. ვნახოთ, რა იქნება. ლადომრადაც შემთხვევით უკვე იმუვა პატარა ატელიე, მაგრამ ჯერ ვერ მუშაობს: ძალიან ცივაო. დათოკოც (83) ჩემს მდგომარეობაშია. დადის პარიზის ქუჩებში და თითებს ატრიალებს მისებურათ. წინათ ვწერდი, ვგონებ, პარიზის შთაბეჭდილებებს. ეხლაც მოკლედ ვნერ მას, რაშიდაც სამივენი თითქმის შეთანხმებულვართ: „დველი პარიზი, ძეელი კულტურა საფრანგეთის, ძველი ძლიერება მისი ხელოვნების დარგში ყოველ ეჭეს გარეშეა. პარიზი, სჩანს, რომ ხელოვნების ცენტრი ყოფილა. აქ ყველაფერი არის დაგროვილი, ყველაფერსა აქვს გზა გასწილი, ყველაფერი აქეთ მოდენილა. მაგრამ ეს ძეელი ან ნარისულია, ყოველ შემთხვევაში ის პარიზი, რომელიც ჩვენთან ერთად არსებობს, დღევანდელი პარიზი, სასონარკეთილი რამ არის. უკეთესობა და ფუქსავატობა მეფობს ყველან. არ არის არსად აზრი და ვრძნობა. ყველაფერი დაპირდაპირებულია ჯიბესთან და ბაზართან.“

ყველაფერი კეთდება ბაზრისათვის. ხელოვნება გაპქრა აქ. შეიდი მსუქანი ძროხა და შვიდიც მჭლე. მჭლე ძროხებმა შესჭამეს მსუქნები, მაგრამ ამით მაინც ვერ გასუქდნენ. ისევ მჭლეები დარჩნენ, აგრევი არის ეხლა პარიზი.

ჩვენ, ჩემის ღრმა რომენით, უვროპის დასასარულის დასაწყისს ვხედავთ, უვროპის უკანასკნელ სუნთქვას [ვ]უგდებთ ყურს, ყველაფერი გაცამტვერდა აქ: მარმარილოსა და ბრინჯაოს ადგილირკინამდა სპილენძმა დაიჭირა. სურათების კი — რეკლამის მარკამ. ხელოვნება ვიტრინებისათვის არსებობს და ევროპაში დადგება ის დრო, რომ ხელოვნება, როგორც უჩვეულო რამ მოვლენა, სპირტის ბანკებში საცერალი გახდება.

ასეთია ჩემი პირადი შთაბეჭდილება ამ უამათ შეურყეცელი და მტკიცე. ჩვენ ორი მსოფლმხედველობის საზღვარზე ვდგევებართ. ჩვენ აღმოსავლეთის კულტურის რენესანსის მონმენი გავხდებით. ეს უნდა მოხდეს, თორემ რეინამ და სპილენძმა ხომ არ უნდა ჩაყლაპოს ყველაფერი? სხვა გზებია საჭირო. აქ კი ურემი უკვე გადაბრუნებულია.

გინცენბერგის ცოლს გადაეცი, რომ მისი ძმა პარიზში არ დამხვდა და ყველა ნივთებით თანა მაქვს. მეორეჯერაც მივაკითხე, მაგრამ არ დაბრუნებულა შეეიცარიდან.

ბევრს ვეღარ მოგნერ, რადგანაც გვიანია და გაკვეთილი მაქვს მოსამზადებელი, უნდა ჩა[ვ]უჯდე. ბევრი მყავს ისეთი კარგი პიროვნებანი, რომლებიც ძალიან მიყვარს და მათთან ცალკე ნერილით გამოლაპარავებას ბედნიერებათ ჩაეთვლიდი, მაგრამ ხეალ დილით ადრე უნდა გავარდენონ ნერილი, ერთობ მგზავრი არ გამეპაროს.

მომიკითხე სიყვარულით ქეთო (84), ელიჩა (85), თამარა (86), მიხაელ (87), შენი შმობლები (88), ა..... მიშა ჭიაურელი (89), გოორვი ერისთავი (90), მეორე გოორვი (91), მოსე თოოდე შვილით (92), კოტე — ჩვენი.

ეიდევ ბევრს ჩამოვთვლიდი. მომიკითხე ყველა, ვიწც ჩვენთან არიან.  
მოიწერე ყველაფერი. როგორ გათავდა გამოფენა? როგორ არის  
აკადემიის საქმე (93)?

აბა, გამარჯვებით. შალვა.

მისამართი ასეთია: Paris. Rue La Perouse, 37, Délégation géorgienne. Pour  
Chalva Kikodzé.

ნერილი უნდა გარეშე საქმეთა სამინისტროში მი [....]. ჩქარა ეიდევ  
ერთად ვიქნებით.

24. პოზაძეს (94)

პარიზი. მარტის 30, 1920

დამის 10 ს.

ძველო, საყვარელო ვიქტორ!

არის ადამიანის ბუნებაში ორი დასაწყისი — სრულიად სხვადა-  
სხვანაირი. არაფრით ჰვანიან ისინი ერთმანეთს. პირიქით, ერთი მეორის  
წინააღმდეგია, ერთი მეორეს სპობს. ხშირად მოქმედებენ ისინი ერთად,  
მაგრამ მხოლოდ ერთის მიზნით: რომ ერთმა მეორის სისუსტე  
გამოაქვარებოს. არასდროს არიან ისინი შედეულებულნი, რომელიმე  
ყოველთვის სჭარბობს, სჯობნის. ერთს ჰქვია სული, გაქანება, ლტოლვა  
ის პატარა, ლამაზი არსების, რომელიც ძეგლ ხალხს ღმერთათ ჰყავდათ  
მიჩნეული. მეორის სახელია გონიერება, უფრო კარგი — კეთილგო-  
ნიერება. მას მსხვილი წარბები აქვს და თხელი ბაგე, მისი ყბები წისქვი-  
ლის ცევანაზ და მის თვალებში სიცივე და გულგრილობა მეფობს.  
ერთი მიყვარს, ერთს ცეზიარები, თაყვანს ვცემი ერთს; მეორე მომწონს,  
პატივის საცემია, და პატივს ვცემ იმდენათ, რომ ზოგჯერ მეზიზდება.  
ძალიან ხშირად არიან ისინი ერთად: პატივისცემა და ზიზღი.

ეს ორი არსება, ეს ორი დასაწყისი, უმთავრესი დასაწყისი[ა] ადამი-  
ანის არსებისა, ცოტა რამ უნდა ითქვას მათზე. მგონი, ეს იქნება ის პა-  
სუხი, რომელიც უნდა გავცე უფრო საკუთარ კითხვებს. შენ სხვა კალა-  
პოტში მოამზყვდი ის საკითხი, რომელიც მე დაგვივი. უფრო მართალი  
იქნება, ვთქვა, რომ ჩვენ ერთს საკითხს სხვადასხვა მხრით მივუდევით.  
ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ მე ეცდები, რომ პასუხი ჩემს კითხ-  
ვებზე შენს პასუხადაც გამოდგეს. ოგიუსტ როდენს აქვს ერთი პატარა,  
ძესანიშნავი მარმარილო — პირუტყვი, ცხენისმაგვარი, ჩლიქებით; თავის  
მაგივრად აქვს ადამიანის ტანი წელს ზევით (95). ეს არის ადამიანი —  
პირუტყვი, ისეთი, როგორიც ყოველი ჩენენგანია. და ადამიანს, რომელიც  
გონებით და სულით მდიდარი დაბადებულა, სწავლია განთავისუფლება  
თავისი პირუტყვულ ნახევრისაგან. ის განვდილია მთელი ნახევარი ად-  
ამიანური არსებით, მისი ხელები საშინელი სასოწარკვეთილი სიძლიერ-  
ით არიან გაზიდული ნინ; მისი მკერდი და ფერდები დიდ აუნერელ სწრაფ-  
ებს გამოხატავენ — სწრაფვას განთავისუფლებისას. სახეზე მთელი  
ზღვა გრძნობათა, ადამიანის სისუსტე საკუთარ ძლიერებაში. მაგრამ  
ამათა ადამიანურ ნახევრის სწრაფვა, პირუტყვი ძლიერია, მას თხი  
ჩლიქებიანი ფეხი აქვს. მისი კუნთები მეტი სიმტკიცით არიან მომარ-  
თულნი. ის ჩასობილა მიწაში თავისი ფეხებით და ადამიანური ნახევარი  
სუსტია, უნდა გადააჭარბოს მის უხეშ ძლიერებას.

დიდი, მარტივი და ნათელი აზრი.

იყო ეს ბრძოლა, ეს ბრძოლა გრძელდება, ეს ბრძოლა იქნება დიდ-  
ხანს. თუ გინდა, რევოლუცია დაარქვი, გინდა ბუნტი, სახელი არ არის  
საინტერესო.

ეს ბრძოლა სწარმოებს ეხლაც.

კულტურა, — ამბობ შენ, — კულტურა, — ვიმეორებ მეც, — გაუგე-  
ბარი სახელია, ძალიან მძიმე მოსაწყლებელი. მართალი გითხრა, მე არ



ვლა იქნება ოქუმინთვის ხელსაყრელი, ახალგაზრდა კაცია, ენერგიით  
საესე და ასეთი ახალი თეატრის ხელმძღვანელი, როგორიც სამხ. თე-  
ატრის სტუდიაა.

აქაური თეატრი „Théâtre du vieux Colombier“ თანდათან იქცევს (134)  
ჩემს ყურადღებას. მართლაც ძალიან საინტერესო თეატრია, უთუოდ  
საუკეთესო პარიზში. „უკანასკნელი სპეკტაკლი“ მოლიქრის „Les fourber-  
ies de Scapin“ - „სკაპინის თინები“ შესამჩნევათ ჩატარეს ყოველმხრივ,  
მობოვ, ისევ დღიურის საბით მოვიწერო. ეხლახან ამის ფიზიკური შესა-  
ძლებლობა არა მაქსი პირდაპირ, სიცხეა და ძალიან ვიღლები. შემდეგ-  
ში, ვეცდები, შევასრულო შენი თხოვნა.

ჩემზე ნუ დარღობ, გეთაყვა, ნუ განუხებთ ის, რომ ფული მეყოფა,  
თუ არა. დარწმუნებული იყავით, რომ აბირებულათ არაფერს მოვიკლებ  
და ცეცხლში არ დავიწვები. მე უფრო მშეიღათ ვიქნები, თუ თქვენ ჩემზე  
დარდს თავს დაანებებთ. პირიქით, იქნება მე ვიშოვო რამე, რომ თქვენ  
მოვანოდოთ, რადგანაც ვიცი, რომ თქვენ ბევრათ უფრო გიჭირთ, ვი-  
დრო მე. გვიცნი ბევრს. ნერილი ხშირად. სალამი სტუდიას. სონიას გათხ-  
ოვებამ ძალიან გამახარა. მოკითხვა ყველა მახლობელთ.

### შ. ქიქოძე.

არ ვიცი, რათ გინდა ჩემი ახალი მისამართი. დელეგაციაში თუ ინ-  
ერებოდით ნერილებს, ეს იმისთვის კი არა, რომ ერთ დროს იმ საბლში  
ვიდექ; ეს იმისთვის, რომ სხვა საშვალება ნერილის მიღების არ არის.  
ფოსტითაც რომ გამოაგზავნოთ, მაინც დელეგაციის მისამართით უნდა  
გამოიგზავნოთ.

ჩემი ატელიეს მისამართს მოგწერ, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ დაგ-  
ჭირდება, პარიზში თუ ჩამოხვალ: Mr, Chalva Kikodzé. 26, rue du Faubourg  
st. Jacques. Atelier 167. Paris, IX.

ნერილები კი, ყველა დელეგაციის საშვალებით აგზავნეთ ისე,  
როგორც გზავნიდით.

შ.ქ.

### 32. გ. ქიქოძეს

ქ. პარიზი. ავენისტონ 8, 920.

სალამოს 10 ხაათი

ძვირფასო მამა!

დიდი ბანია, თქვენგან არაფერი მიმიღია, მაგრამ, ალბათ, ჩემარა  
მივიღებ, რადგან ვიცი, რომ კარგათ გახსოვართ. როგორც მახსოვეს, უკა-  
ნასკნელ ნერილში შენ ნუხილს გამოსთქვამდი იმის გამო, რომ მე ჩემს  
სამუშაოს აქ ვერ შევასრულებდი და ისე დავბრუნდებოდი. შენ უნდა  
იყოდე, მამაჩემო, ის, რომ, თუ მე აქ ვზიდარ, ეს მხოლოდ ჩემი სამუშაო-  
სათვის და ყოველი დღე და საათი ანონილი და შეგნებული მაქს. და, რაკი  
სახელმწიფო მინისტრის მფარველობას, იმასაც არგათ ვგრძიობ, თუ რა დიდი  
ვალდებულება მეუკისრება ამით. მე ნინათ გნერდით, თუ ჩანარიად  
მეძნელებოდა მე ასეთი მფარველობა. მეძნელებოდა ზნეობრივათ მის-  
თვის, რომ ჩემს თავს ძალიან კრიტიკულად ჰქიცერი. ეს იმას არ ნიშ-  
ნავს, რა თქმა უნდა, თუ არ ასეთი მფარველობა, მე ჩემი ვალდებულება  
არ უნდა მეონოდა შეგნებული. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მე ერთგ-  
ვარი ნდობა დავიშახურე სახელმწიფოსი და ეს ნდობა უნდა გავამართ-  
ლო არა მარტო სახელმწიფოს ნინაშე, არამედ საკუთარი თავისაც. და აქ  
ვეკითხები თავს: შევძლებ კი? პირველი შეიძლება შევძლო, მეორე კი  
ძნელია და ამისთვის არის, რომ საქმეს უბრალოდ არ ვეკიდები და ხელ-  
ცარიელი, ყოველ შემთხვევაში, არ დავბრუნდები. ერთი უდიდესი  
სისხლე ჩვენი, მხატვრების, მემდეგშია: ჩვენი მუშაობა მხოლოდ ჩვენი,  
საკუთარი, პიროვნების ძიებაში არსებობს და რა დიდი სისხლე არის  
დასაძლევი: საკუთარი პიროვნების პოვნა და ამ პიროვნებით სხვისი დაკ-



მაყოფილება. ასე რომ შენ ნუ გეშინია. რასაკვირველია, თუ არაფერი გაჟეთდა, ეს არ იქნება კარგი, მაგრამ ნუ დაგავინყდება, რომ ამით არავინ იქნება ისე უბედური, როგორც მე თვითონ.

მე კი ჩემი თავის მტერი არა ვარ და, როგორც ყოველ მხატვარს, ჩემი თავი მიყვარს, თუ იმას არ ვიტყვით, რომ ჩემი ხელოვნებაც ძალიან მიყვარს.

ამხანათ კარგათ ვარ. ზოგჯერ კუჭის მოშლილობა მანუხებს, მაგრამ ძალიან არა. კარგი საჭმელი ძვირია, იაფი — ცუდი. ცხადია, მეორეს ვარჩევ, რადგან სულ უქმელობას ესა სჯობს.

კარლო ჩხეიძის პორტრეტი გავათავე. კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ, როგორც ძველ ხოციალ-დემოკრატს, არ მოეწონა, რომ ფონად იმერე-თის სოფელი და [ვ]უხატე, მთხოვა, სოფელი მოხსენიო; მე, რა თქმა უნდა, არ შევასრულე (135).

ხომ კარგათ, ჩემო მამა, ვავიგე, რომ ძალიან სიძვირეა ჩვენში. ამ ბოლო დროს სთქვეს, რომ ერთი ფრანგი 80 მან. ღირსო. ნეტავითუ მართალია? მოინერე ყვლაფერი. პური თუ არის. ძალიან ირევა კიდევ ქვეყანა. რუსეთი პირდაპირ აჭირებს საქმეს. კაცო, გაუთავებელი არაფერი ვარგა. ერთ დაწყისარებას კი ვერ ვეღირისეთ.

მოკითხვა ყველას.

გეოცნი. შენი შალვა.

გიგზავნით სურათებს.

### 33. ა. ქიქოძეს

ქ. პარიზი. ავენისტონ 8, /1920/

ლამის 11 ხაათთა

ჩემო კარგო დაიკი!

მირბის და მირბის დრო, მაგრამ მაინც კი მირბის ისე, როგორც საჭიროა. სად გეჩერება, ადამიანო, — ვეკითხები ჩემს თავს; არ ვიციო, — მიპასუხებს, — ფლავის დარიგების იმედი სრულიად არა მაქვს და ცოტაც მოლას კი ვემსგავსებიო.

სად უნდა დაარიგონ ფლავი? კიდეც რომ დაარიგონ, მე მაინც არაფერი მხვდება. მაინცდამაინც არც კი მიყვარს ის ფლავი, თუმცა შენ თბილისში ხშირად მაჭმევდი ხოლმე.

ეხლა კი ყველა იმ ფლავისკენ ინევს. სად არის ფლავი, არავინ იცის, და ირევა ქვეყანა, ოთხი წლის მომზადებულ ფლავს, სურს, რომ შეექცეს ანტანტა, მაგრამ რუსეთი არ ანებებს. ანტანტას პერიოდი, ფლავი გერმანიაშია, ის კი არ იცის, რომ გერმანია შიმშილით კვდება და, ფლავი რომ ჰქონდეს, თვითონაც კარგათ შეექცეოდა. ანტანტას ეშინია, რუსეთი გერმანელებთან ერთად ფლავის საჭმელად ჩვენთანარნამოვიდესო, და ტუტუცი პოლონეთი წააქეზა რუსეთთან ომზე. პოლონეთმა რომ ცერაფერი მოახერხა, ანტანტაშ გადასწვიტა, ფლავი რუსეთში ყოფილია, და გასწია მისევენ. ერთი სიტყვით, ომი ეხლა ინყება. რა უბედურ დროს დავიბადეთ, ჩირტი იმ ზნაიტ, ჩვენ მაინც თავს დაგვანებედენ. შენ, ჩემო დაო, ყოველ შემთხვევაში, ფლავის კეთებას თავი დაანებე, თორემ გინმე დაგინახავს და გადმოგვაჯირგალება.

ხუმრობა იქით იყოს და შენთან მინდა ცოტა თეატრის საქმეზე კამათი, რაც დიდი ხანია, მსურდა. გთხოვ ყური მათხოვო. ყოველი ხელოვნება ყოველი ერისა იქმნება ნაციონალურ ჩარჩოებში. მხოლოდ მაშინ აქვს მას ფასი და გამართლება. ეგვიპტის ხელოვნება, ჩინეთის და იაპონიის ბუდდები და პერგამენტები, ან, უფრო ახლო, თვით დიდი პიროვნებანი, რომელთ პატივისცემას ჩვენ შევეჩვეთ მხატვრობაში, ხუროთმოძღვრებაში, ქანდაკებაში, პოეზიაში, მუსიკაში (მათი დასახელება არ არის საჭირო), პირველ ყოვლისა, თავისი ერის შვილები იყვნენ და თავისი შემოქმედების თესლებს საკუთარ ხალხიდგან და ბუნებიდგან აგროვებდენ. მხოლოდ ამისთვის არიან ისინი დიდებული და საერთოდ დაფასებულნი, მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში აღმოცენებულ



ჩენი ქართველი

ფორმას ეძლევა საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგან ხელოვნებაში მიმბაცველობა და ფორმის გამეორება — ეს ერთდროული და უსაფუძვლო ცდაა; უსაფუძვლო, რასაც ირველია, ხელოვნების ფორმის დამორჩილებისათვის. ცხადია, თუ, მაგ., ქართულ მხატვრობას უნდა სახე მიიღოს, ის უნდა განვითარდეს ეროვნულ ჩარჩოები. მხოლოდ მაშინ იქნება ის საინტერესო.

აფრევე არის, უსათუოდ, სასცენო ხელოვნებაშიდაც. ამ საგანზე მე ხშირად მაქეს ყუშიტაშვილთან (136) ბაასი და ჩხუბი. რა არის იმისთვის საჭირო, რომ სცენა ქართულ ფარგლებში მოექცეს? საჭიროა ქართული ფორმის ძიება საცენისათვის. ამ ფორმის ძიებისთვის კი საჭიროა, რომ მაძიებელი ქართული იყვნენ და უაღრესად ქართველი.

რუსული თეატრი თავის საძირკელს იტალიის და საფრანგეთის ქვეპიონ აშენებდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსულ თეატრმა რუსული ფორმის შექმნა შესძლო (ოსტროვსკი (137), ჩეხოვი (138), დოსტოევსკი (139)), მხოლოდ მაშინ მიაღწია მან იმ დიდ სიმაღლეს, რომელიც შენ ამ რიგად მოგნომს. მაგრამ რა გამოივა იმით, თუ ამ ფორმას ქართული თეატრი გაიმეორებს? არაფერი. რა არის ადვილი უკვე შექმნილი ფორმის გამეორებაზე?! ეს გამეორებული თეატრი იქნება რუსული და არა ქართული.

სცენისათვის უსათუოდ საჭიროა დიდი, ძლიერი ქართველი ჰილოვნება.. ჩვენში კი არც რეჟისორები, არც მსახიობები ქართველები არ არიან. ის რეჟისორები და მსახიობები ძალიან კარგები იქნებიან რუსულ სცენაზედ, მაგრამ არასდროს ქართულზედ. მათი ფსიხიკა უსათუოდ რუსულია. ჩვენი რეჟისორი იბსენსაც (140) დასდგამს და სოფოკლესაც (141), მაგრამ ვერასდროს გ. ერისთავს (142). მისთვის, რომ იბსენიც და სოფოკლეც უნახავს, ფორმას იცნობს, ერისთავი კი არ უნახავს. მერე ქართველი მსახიობი ეგვიპტეს უფრო იცნობს, ვიდრე საერთველოს. ასეთ არანორმალურ პირობებში ხელოვნების შექმნაზედ მეტიც ლაპარაკი და ნურავის გაუევირდება, რომ ჩვენში თეატრი არ არის. არ არის არა იმისთვის, რომ მთავრობა არ ეხმარება, არა იმისათვის, რომ კომპერატივთა კავშირი მფარველობას არ უწევს, ან ბ. დათემძე (143) ოხერია, არა! მხოლოდ მისთვის, რომ არ არის ცდა ფორმის ძიების და, რა თქმა უნდა, არც თვითონ ფორმა. ნადით და პკითხეთ ქართველ რეჟისორს — იცნობს ის ქართულ ხუროთმოძღვრებას, ქართულ მიატერიას, ქართულ ლიტერატურას, ქართულ ისტორიას? რათ უნდა, რომ იცნობდეს. მსახიობები ასეთ კითხვას არასდროს მისცემენ. მან იცის, რომ ეგვიპტეში ნახევრად გახდილები დადიოდენ და ტანის ტატუიროვების ნახაზიც გაეგება, ქართველს კი ქართული ტანისამოსის მაგივრად ურიულს ჩააცმევს. მან იცის, რომ ეგვიპტელები ფარზე იბისს იხატავდენ, ქართველს კი შეიძლება ორთავიანი არივი დაუხატოს.

რამდენათ დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ რეპეტიციებზედ რეჟისორი ყველაფერს რუსულად ლაპარაკობს, მსახიობებიც რუსულად ჰუკიქრობენ, მხოლოდ თუთიყუშივით ქართულ დაზეპირებულ სიტყვებს იმეორებენ. ასე რომ ბ. ზალისსაც (144) კარგი ქართველი იყო.

ამრიგად, ფუჭი იქნება ყოველი ძველებური ცდა, დროს და ენერგიის დაკარგვა.

სამზარეულოში დაიწყეთ, თუ გინდათ, საქმე; სადმე კუნჭულში, შავრამ ქართულად, ქართული სიტყვით, ქართული აზრით, ქართული ცოდნით და შეგნებით და ქართული სიყვარულით. პნახავთ, რომ რაღაც ვამოგა, თორებმ თეატრს ვერც სუმბათაძეილი უშველის და ვერც მჭედლოვან აბა, შენ იცი, მიპასუხე კარგათ!

გვიცი ბევრს, მოჟითხვა ყველას. მთელ სტუდიას ჩემი მეგობრული სალამი. თუ გინდა, გადაეცი ჩემი ნერილის აზრი. საინტერესოა, რას იტყვიან! გიგზავნი სურათებს. ყველას უკან ახსნა ანერია.



“დავკირგვენება”



„მტაცებლები“

ოვეთ წინას (ტიტ. ცოლს), მომინყოს მისი დის პტელიეს საქმე ამნაირად. მე ვიცი, რომ ე. ბრიუნელი (169) ეხლა იტალიაში იმყოფება, მაშასადამე, ატელიე მიატოვა. ვინმე სხვა ჩასახლებულს, რომ მოთხოვნისთანავე დასცალოს. ცოდვაა ატელიე, ტფილისში არამხატვარს ეჭიროს. ეს თხოვნა შემისრულება, თუ შესაძლებელია.

შალვას (170) გამართლებამი მე ეჭვი არადროს შემდიოდა, უფრო კარგათ რომ ვსთქვა, მის სიმართლეში.

ნერილს ამდენს ხანს მისთვის ეერ გწერდი, რომ ცოტა მეშინოდა, ძნელია გამოურკვეველ მდგომარეობის რაიმეს მონერა. შესაძლოა რაიმე უდროოთ ან ახირებულათ სთქვა. ეხლა გწერ. გადაუგზავნეთ.

სალამი კიდევ.

შ. ქიქოძე.

### 39. გ. და ა. ქიქოძეებს

პარიზი. ნოემბრის 2, 3, 4, 920 წ.

ეხლა რომ მხოლოდ ერთს ნერილს ვგზავნი, ამისი მიზეზი მარტო ის არ არის, რომ სულ ცოტა ხანია, რაც ბევრი ნერილები გამოიგზავნეთ; ამისი მიზეზი იმაშიდაც მდგომარეობს, რომ ამჟამათ ავათ გახლავართ. სიცივეები დაინტერესონ და, მიუხედავათ იმისა, რომ ატელიეს გვარიანათ ეათბობდა პალტოც თბილი მაქვს, სადღაც მაგრათ გავცივდი და ბრონბიტი და სურდო შევიყარე. გუშინ და გუშინნინ ცუდათ ვიყავი, მაგრამ ენერგიულმა ზომებმა თავისი ჰქენეს და დღეს ბევრათ უკეთ ვგრძნობ თავს. ნერილსაც შეატყობით, რომ ის მაგიდასთან არის ნანერი და არა ლოგინში, და რომ არც თუ აჩეარება და შეწუხება ეტყობა მას ... ხეირი ... (ცხვირს დამაცემინა). ყოველივე ამას იმისთვის გწერთ, რომ არ შეგეძინდეთ. ხვალ დილით სულ კარგათ ეიქნები. ამ დალოცვილ ატელიეში ყველანი რაღაც ბატონივით მიცემერიან: ბიჭია და ყოველივ საემეს მიატოვებს, რომ ჩემი ბრძანება შეასრულოს; ახლო მდგმურები ძალიან მდაბლათ თავს მიერავენ (ერთმა აქაურმა დედაბერმა ჩემი ავათმყოფობის დროს სახურავზე ხმაურობას მოპკრა ყური და უმაღ თავისი 30 წლის შეილი გავზავნა უზრდელი მოხმაურის დასაჩუმებლათ). ერთი ქალიშვილია (რომელსაც ღმერთმა სილამაზის არაფერი მისცა), რომელიც თავგადადებულად მეარმიყება. სურვილიც განუცხადებია ჩემი მოვლისა, მაგრამ მე შევატყობინე, რომ მე არც თუ ისე ავათ [ვარ], რომ მარტოხელა ქალიშვილისთვის არაეითარ სამიმროებას არ ნარმოვადენდე. ერთადერთი ადამიანია ამ სახლში, რომლის ვერაფერი დავიმსახურე (კუზიანს კუბო გაასწორებს), ეს სახლის პატრონის მოადგილე და სახლის მეთეალურება. ხან გაზი დამიკეტა იმ დალოცვილმა, ხან ელექტრონი შემიმოკლა, მაგრამ ყოველივე ეს არ გაუკიდა, რადგან შემატყო, რომ ჩემთან ხუმრობა არცთუ ისე ხელსაყრელი იყო. ეხლა კი იმითი დაასკვნა თავისი უმსგავსო საქციილი, რომ ატელიეს ფასი 300 ლრ. გამიხადა; ესეც იმისთვისო, დასძინა, რომ ძალიან კარგი ყმანვილი ბრძანდებითო. მე ვაგრძობინე, რომ არსებობს კანონი, რომლის ძალით მას არა აქვს მომატების უფლება. ამაზედ მან გულაზდილათ მიპასუხა, რომ ატელიეს დაცლის მოთხოვნის უფლება მას ყოველ შემთხვევაში აქვს. მე აღარაფერი დამრჩენოდა და მხოლოდ ჩემი გაკვირვება გამოვთქვი, რომ პარიზის თვითმართველობამ ამის ნინააღმდეგ აქამდე არაფერი გამოსცა. კუზიანს კუბო გაასწორებს-მეთქი. ეს საერთოდ ფრანგების ფსიხოლოგია გახლავთ. ფრანგი კარგია მაშინ, როდესაც ის არაფერში არ არის დაინტერესებული და როდესაც მოხლოდ ადამიანობა ან თახი აქავშირებს შენთან. მაგრამ, თუ რაიმე ინტერესი უდევს თქვენს ურთიერობას (მეტადრე ფინანსიური), იგივე ფრანგი მაშინ არ დაგიდევს არაფერს ...

ნოემბრის 3, სალამოს 8 1/2 ს.

დღეს, მართლაც, ბევრათ უკეთა ვარ, როგორც ვფიქრობდი, თუმცა ცოტა յიდევ მახველებს. სამი დღეა, უკვე სახლში ვზივარ, მაგრამ ხეალ კი უნდა გამოვიდე ჭავათუოდ, ისეთი საქმეები მაქვს. საქმე მხატვრების ფულს შეეხება. სანამ დელეგაცია აქ იყო, გვეძლეოდა 900 ფრ., ებლა დელეგაცია მოდის (ეს წერილიც თან მოაქვს) და აღარ ვიცი, როგორი იქნება დამატებითი 200 ფრ. საქმე. ისიც თუ მოგვესპოდა, მაშინ მშევიდობით ალაზნის პირნო... წასულია ჩვენი საქმე. დღეს დილით ერთი დიდი ტილო შემოათრის დიდი ვაივაგლაბით ჩემსა ატელიეში და იმ ტილოში გადავიხადე 150 ფრ., არც მეტი და არც ნაკლები. ნარმოვიდგენიათ ჩემთვის ასეთი ფულის გადახდა?

თუმცა, მგონი, ჩვენი საქმე კიდევ გაჭადრავებულია. სტუდენტების საქმე ტიფილისში არის გადატანილი და აქ ხმები მოდის, რომ ჩვენი განვევის საყითხი ბევრს მომხსრებს პოულობს...

ნოემბრის 4, დილის 10 ს.


რამდენჯერ შემანყვეტინეს ეს წერილი, როგორც ავადმყოფის, სანახად მოდიან ყმანვილები და ქალიშვილები და, არ იქნა, ვერ დავამთავრე. დღეს ეს წერილი უნდა გადავცე დელეგაციაში და ამისთვის კიცოტა უნდა ავჩქარდე და წერილი შევამოკლო. ნუ დამძრახავთ, უფრო კრცელი შენდევისთვის იყვეს.

იმას ვამბობდი ზევით, რომ შესაძლებელი არის, ყველა გაგეინვიონ, მაგრამ მაინც ჩვენ იშტას არ ვიტესთ და დღეს, მაგალითად, მე პირდაპირ მავდიერარბ. გეგეტყართან მოსალაპარაკებლათ, რომ საშუალება მოგვცეს, მხატვრებმა პარიზში ჩვენი მხატვრული ხიგნი გამოცეთ და სურათების გამოფენა მოვაწყოთ. ორივე ამ საქმეს ვევბა მნიშვნელობა ექნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის პროეგანდისთვისაც. ეს ყოველივე უნდა აუხსნა გეგეტკორს და თანხა გავალებინო. ასეთი დავალება მაქვს მხატვრებისაგან (171). თუ უარი მივიღეთ, ჩვენ მაინც რაშეს მოვაწყობთ; ისე არ დავგლახდებით. თუ გაგვიწვიეს, რა გამოვიდა, უნდა ნამოვიდეთ, მაგრამ შესაძლებელია, რომ რაიმე შემოსავალი დაგვირჩეს და დანაკლისი დრო შევავსოთ. ერთმა ჩვენგანმა (ლ. გუდიაშვილმა) მონანილეობა მიიღო ე. წ. „Salon“-ის გამოფენაზე და ერთი სურათი, მგონი, გაჰყიდა კიდეც (172). მე და კაკაძემ არ მიიღილეთ მონანილეობა პრინციპიალურად მისათვის, რომ „სალონში“ დაგროვდება ხოლმე გამოფენაზე ათასობით სურათები და არავითარი საშუალება არ არის, შენი სურათი ასე თუ ისე გამოჩნდეს. ეს არის ნამდვილი ბაზარი, რომელიც მარტო სავაჭროთ არის მოწყობილი და არავითარი მხატვრული ხასიათი მას არა აქვს. ბევრი ვურჩიეთ ლ. გუდიაშვილსაც, არ მიეღო მონანილეობა, მაგრამ არ დაიჯერა და დიდი შეცდომაც ჩაიდინა. ამ შეცდომას თუ ეხლა ვერა, შემდეგში მაინც დაინახავს. ჩვენი სურათების აქ გამოფენას უსათუოდ უნდა ახლდეს ორი აუცილებელი გამართლება. პირველად ყოვლისა, ის უნდა იყვეს მხატვრული, ე. წ. ისეთი, რომელსაც არავითარი არამხატვრული, დილეტანტური ელემენტი არ ახლავს; მეორეც, ის უნდა იყვეს განსხვავებული იმით, რომ იქნება ქართული. და ეს უკანასკნელი, თქვენც მიხვდებით მის მნიშვნელობას, ყოველ მაყურებელს უნდა ეჯდეს თავში, როდესაც ის ჩვენი სურათების სანახავათ მოვა. უნდა იცოდეს იმ მაყურებელმა, რომ ქართველი მხატვრების სურათებს უცქერის, რომ ის საქართველოა, რასაც ის ხედავს, ის საქართველო, რომელსაც ამდენ ხანს არ იცნობდა და არც უნდოდა, ეცხო. რომ ეს საქართველო და მისი ნაწარმოები ყოფილიან გაცნობის ლირსი. ამგვარი ხასიათი უფრო ექნება წიგნს და მეც ამ მხრიც დავაჭრ. ვნახოთ, რა იქნება.

დიდი ხანია, თქვენგან არაფერი მაქვს. ველი. მოკითხვა და სალამი ყველას.

შივდივარ.

შ. ქაქოძე.





ზიზლით სიტყვა étranger (უცხოელი). მე ვითმინე, ვითმინე და მერე მის გასაჩუმებლათ ერთი ხერი მოვისმარე: სრულიად დამშვიდებით და კარგათ გასავინათ [ვ]უთხარი: „Madame, vous n'avez pas honte. Je suis blessé à votre frontière en vous défendant“. (ქალბატონო, თქვენ სირცხვილი არა გაქვთ; მე დავიჭრი თქვენს ფრონტზედ, როდესაც თქვენ გიცავდით). ქალს ფერი ეცვალა და გაშრა. მაგივრათ სხვები (ფრანგები) მისდგენ და მინასთან გაასწორეს. მე გამარჯვებული ვიდეტი და ჩემს სახეზე, მგონი, ზიზლის მეტი არაფერი გამოიხატებოდა. ამისათვის არის, რომ ფრანგის ოჯახის გაცნობა აქ ძალიან ძნელია. უცხოელებს ოჯახში არ უშვებენ. თუ უცხოელი ოჯახში შევიდა, სჩანს ის იმ ოჯახის სიძეა. ეს არის კიდევ ერთი დიდი საშინელება ფრანგებისა. „მეშჩანინი“-ს სამეფო უსათურდ საფრანგეთია. და მხოლოდ აქ გავიგე მე, თუ რა არის „მეშჩანინი“.

ამას ნინათ ფრანგის სოციალისტ რენოდელის (177) (რომელიც საქართველოში იყო) ქალიშვილი გავიცანი. მშვენიერი ცუგრუმელი გოგოა. დავმეგობრდით კიდეც. სამჯერ იყო ჩემთან და ჩემი სურათები ძალიან უყვარს. ისე უნდა ითქვას სიმართლე, ჩემი ცხოვრება ერთგვარია. მთელი დღე ვმუშაობ (მუშაობა კი არ არის ერთგვარი, რა თქმა უნდა) და, საღამოს კარგათ რომ გაერთო, დიდი ფულებია საჭირო და ფულები კი ჩენ ვინ მოგვაშავა. მე რომ სახლში საუშმის მოწყობის საშვალება არ მქონდეს, ჩემი საქმე ცუდათ წავიდოდა.

მაგრამ ღმერთია მოწყალე, გავიღებთ და ერთხელ იქნება ნათელი დღე გამითენდეს. ჯერ კი ღმერთმა ესეც წუ მოგვავლოს.

ჩენი გამოფენა აპრილის 15 გაიხსნება უსათურდ. გაზეთებისთვის განცხადებებს გიგზავნით და მოათავსეთ. მე მგონია, საინტერესო გამოფენა უნდა დარჩეს, მაგრამ იმდენი მუშაობა დასჭირდა, რომ გნაცი აღარ არის. კარგი კიდევ, თუ მოვასწარით. თქვენი ნარმოდებენების შესახებ მხოლოდ განცხადებებს ვკითხულობ, სხვა კი არაფერი ვიცი. საცოდავი ლადომესხიშვილი (178), კარგი კიდევ, რომ სამშობლოში გარდაიცვალა. ნეტავი სად არიან მისი ქალიშვილები? როგორ არის ლოლია კონსტანტინოვიჩი და მისიანები.. წუთუ კიდევ ვერ დააღნიეს თავი აზერბაიჯანს. თუ დაახლიეს და, რატომ არაფერი ისმის მისგან? მგონი, სულ დავავინყდი. ყოველ შემთხვევაში, წერილს გიგზავნი მისთვის და გადაეცი მის ძმას.

მომიკითხე, ანეტა, ყველა. გადაეცი მახლობლებს ჩემი ხსოვნა და სიყვარული. მე თუ ყველას ვერ გავსწვდი, განა ეს იმის ნიშანია, რომ მე, ერთს, ვერ უნდა მომზედენ, ამხანაგებმაც კი დამიკინებული არც ერთიდან არაფერი ისმის. დიტოს ჩემი დიდი, სერიოზული საყვედური გაუგებარი სიჩუმისათვის.

გაკოცებ აურაცხელს, იყავი კარგათ და ჯანმრთელად იმის მოლოდინში, რომ, ალბათ, სულ მალე ვნახავთ ერთმანეთს.

შენი შალვა

#### 43. გ. ქიქოძეს

ქ. პარიზი. თებერვლის 3, 921.]

ძვირფასო მამა!

უკვე თითქმის ერთი საუკუნე არის, რაც თქვენგან წერილი არ მიმიღია, არ ვიცი კი, რას მერჩით. თუმცა მნერდით, წერილები არ მოგვდისო, მაგრამ მე ვიცი, რომ აქედგან ნამოსული ხალი ყველა მშეიდობით ჩამოვიდა საქართველოში და ყოველ მათგანს რამდენიმე წერილი თან ჰქონდა ჩემგან. საქართველდანაც პარიზში ძალიან ხმირად ჩამოდიან, წერილებიც მოაქვთ, გაზეთებიც, მაგრამ ჩემთვის არც ერთი სიტყვა არსაიდან არის. შინაურებმაც დამიკინებული და მეგობრებმაც. ეტა აქა ჩენენკელის ჩამოსულის იმედი მაქეს. შეიძლება იმას დაურჩის რამ

ჩემთვის: კიდევ ვერ გაძატივებდით ამდენს სიჩუმეს, მაგრამ ჩევნმა ფიდმა საერთო სიხარულმა საყოველთაო პატიება გამოიწვია ჩემში. ნარმოდგენილი მაქეს, რა აღტაცებით შეხვდა ჩევნმი ხალხი ჩევნ De jure-თ ცნობას. აქაც დიდი სიხარულის ალიაქოთი გამოიწვია. იმ სალამოს, როდესაც ცნობას მოველოდით, რამდენიმე ქართველი დელეგაციაში შევიკრიბეთ. ცნობა თითქმის მიღებული იყო, მხოლოდ ფორმალური მხარე აკლდა მის. მოუხედავად ამისა, ყველას ძალიან ნერვიულობა და აუხსნელი შიში ტყუბოდდა: ვაითუ ას ვაითუ ისეო ... ისახოდენ. ბ. დადემკელიანი (179) 16 საათზე დაელაპარაკა ტელეფონით უმაღლეს საბჭოს მდიგანს. უკანასკნელმა სიხოვა, პასუხისათვის 7 საათზე დაერცეა. ეხლა ერთი საათის სიმწრის ლოდინი. ყველა გაფორმებულები დავდიოდით. გეონებოდა, ამ ხალხს საფალარით ზეთი მულიათ და მისი გავლენის მოლოდინში არიანთ. ეს შედარება შეიძლება უადგილი იყოს, მაგრამ ის იმ საღამოს მომივიდა თავში და უნებურათ გამაცინა. ჩემი ბრალი როდია, ეს „ემმაკის მათრახის“ თანამმრომლიბამ მიყო. ესეც 7 და 15 წუთი. დადემკელიანი რეკავს და ამბობს: Mr. Dadechkeliani de la part du ministre des affaires étrangères de Géorgie (180). უპასუხებენ და დადემკელიანი ჰკიდებს ტელეფონის ტრუბებას და პასუხს იმეორებს აღელვებით: „La décision est prise. Votre Etat est reconnu de jure“ (181). მასხოვეს, რომ კიბეზედ საჩქარით ასავლელათ ერთმა სეამბა შემიშალა ხელი და ოვალის დაბამხამებაში ელვასავით გადავხტი ზედ და წუთში ზევით ვიყავი. ნინათ ბევრჯელ ცცდილვარ სკამზედ გადახტომას, მაგრამ ყოველთვის ამ ცდის შედეგათ ის იყო, რომ ან სკამი იყო დამტკრეული, ან მე ვკოტლობდი ერთ კეირეს. უცბათ გააჩინეს საიდგანდაც შამპანურები და დელეგაციის მოსამსახურებმა სამი სტიპენდიატის თანადასწრებით ყველაზედ ადრე აღვნიშნეთ საქართველოს საისტორიო დღე. გატარებული ხალამო და ნარმოთქმული სიტყვები და სიმღერები ფონოგრაფზედ გადავტეჭდეთ.

[იანვრის] 27 წლის 1921-სა ნაუმლელი დარჩება ჩემს მასხოვრიბაში.

[იანვრის] 31 დელეგაციამ გამართა ჩაი, რომელზედაც პარიზში მყოფი ყველა ქართველები მოიწვია. ძალიან ლამაზათ და მხიარულად გავატარეთ დროება.

ეხლა თავი მაღლა გვაქვს ანეული და აღარავის გაცურბით. არც საქართველოზედ საუბარის გვეშინია. ნინათ, მაგალითად, რუსებს გავურბოდი, რადგან ყოველი მათი შეხვედრა საკბენათ და საჩქარიათ მამზადებდა. ეხლა კი, პირიქით, დავეძებ მათ, რომ მათთან ლაპარაკის დროს სიმშვიდე გამოვიჩინო.

იცვალენ, ქეშმარიტათ, დროებიდა ამ ცულას უმეტესად დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება. ჩევნი მოსპობა ეხლა, მე მგონია, თითქმის შეუძლებელია მისთვის, რომ ხალხი ბრძოლით მოპოვებულ უფლებას უბრძოლებელათ არასდროს ჰყარებავს. ჩევნი უფლება კი ნამდვილი, შეუდარებელი, ნმინდა ბრძოლით არის მოპოვებული. ეს უფლება საქართველოს შვილია, ნამდვილი სიმწრით გადარჩენილი შვილი, და, აბა, რომელი დედა დასთმობს თავის პირმშო შვილს? ის ურჩევნია, აღრევე თვითონ აღიგავოს დედამინის ზურგიდან.

თქვენს სიხარულის აბბებს, იმედია, მომწერთ საჩქარით.

მე ძალიან კარგათა ვარ, ცოტა ფული რომ მყოფნიდეს. ფული კი არ მყოფნის, რადგან, მე რომ ხარჯი მაქეს, იმდენი არც ერთს არა აქვს. გარდა ამისა, აპრილის 15-ს ქართველების გამოფენა გაიხსნება და ძალიან დიდი მუშაობა არის საჭირო, რადგან პარიზის გამოფენა ტფილისის გამოფენა როდია. მე, ვგონებ, გწერდით, რომ დელეგაციამ უსახსრობის გამო დაპირებულ ფულზედ უარი გვითხრა, მხოლოდ 500 ფრ. მოგვცა. ქ. ხომტარიამ, გაიგო თუ არა ეს, იმ ნამსვე 4.000 ფრ. დაგვითვალა. ფული ხელში გვაქვს. გაღერება აღებულია, დღე — ცნობილი. ჩევნი მუშაობაც არის. უნახოთ, რა იქნება. მე გიგზავნით გაზეთებისათვის განცხადებას და მოათავსეთ.





მაქაურ გაზეთებს კიოთხულობ, მაგრამ გაზეთებს ყველას ისეთი სახე აქვს, თითქოს ისპანახიც არ გაძვირებულა. შიგ ასეთი ამბები სწრია: ბ. ლ. ბრევაძე ვიცე დირექტორობიდან დირექტორი გამხდარა. კ. ნინიძეს სახლის გამო პარტიაში რევოლუცია მოუხდენია, ამის გამო პარლამენტი სახელმწიფო დანესხებულებიდან „მიროვო სუდათ“ გადა- ქცეულა. ბ. ნ. უორდანია ტფილისში კათალიკოს ლეონიდს (182) ნასჩ- უბებია და სახელმწიფოსა და ეკლესიას მორის განხეთებილება მოხ- დარა. ისიც ვიცი, რომ გერონტის ნერილებს „სახალხო ფურცელი“ ათ- ავსებს ბოდიშის მოხდით (183). პირველი ნერილი უკვე წავიკითხე, ისიც გავიგე, რომ სამხედრო მინისტრათ ექიმი პარმენ ჭიჭინაძე (184) დაუნი- შნავთ, არ ვიცი კი, რა მიზნით: ფრონტზე ობის ნასაგებათ, თუ ჯარში ეპიდემიის გაერცელებასთან საბრძოლველად. მეორია, რომ პ. ჭიჭინაძ- ეს ვერცუანას კრელი საქმე მიენდობა, რადგან ბოროტი ხმები ამბობენ, რომ, არა თუ ცუდი მინისტრია, ექიმადაც არაფრათ ვარგა. ვიღაცა ექიმს უთქვამს: „თუ ექიმი ექიმად არ ვარგა, ის არაფერში ივარგებს“. გაზეთების ამონაჭრებს რომ გამომიგზავნიდეთ, დაგიმადლებთ: რაც უფრო საინტერესოა.

ეხლანდელ „დამოუკიდებლების“ გამოფენაზედ ჩვენ სამივე მნატ- ვარი ვაფენთ. მეორი სურათი გავაგზავნე (185). საწყალი ა. მაყაშვილი, პარიზელი სტიპენდიატი, ტფილისში გარდაცვლილა (186).

მომიკითხე მამაჩემო, ყველა დიდი სიყვარულით.

მიიღე ჩემი მზურვალე კოცნა.

შენი შალუა.

ეს ნერილები ვ. გეგეტკორს მოაქვს (187).

#### 44. დ. კაკაბაძეს

ქ. პარიზი. ივლისის 18, (1921)

დათივო,

ფანქრით გნერ მისთვის, რომ ჩემს ახალ პატარა ოთახში მელანი არ მოიპოვება.

მე მივიღე შენი ნერილი და მისმა შინაარსმა ძალიან გამაკვირვა: ასეთ სიმეორეს მე არასდროს მოველოდი მაგ მიყრუებულ ადგილში (188). მით უფრო საკირველია ეს, რომ, როგორც შენინერები, ხეც კი არ ყოფილა მაგ დალოცვილ ქვეყანაში.

მე არ გიძასუხე აქამდე იმისთვის, რომ მნერდი, აქედგანაც, ალბათ, ნავალო ორ-სამ დღეშით. ამისათვის შენი დეპეშა სრულიად მოულოდ- ნელი იყო. რისთვის დაგჭირდა დეპეშა, არ ვიცი ...

მე მაქეთ გერ ნამოვალ, რადგან ჯერჯერობით პარიზის დატოვება ჩემთვის შეუძლებელია.

25 ივლისს ან მის ბოლოს გადავწყვიტე გამგზავრება რენანში და იქიდგან, თუ ღმერთი დამეხმარა, გერმანიაშიც. პარიზს უკვე მოწყდა ჩემი ცხოვრება ატელიის დატოვების შემდეგ (189). ეხლა უწიად დაუყ- იალობ და მოწყვეტილ ძარღვების შემთელებას ველოდები.

თუმცა ჩვენი საქმე ცუდათ არის (სტიპენდიების გაგრძელებაზე, როგორც ვიცი, ცივი უარია), მაგრამ მე მგონია, შენ მაინც არ აჩქარდე და დაპყავ ზღვის პირას, რამდენი ხანიც შეგეძლება.

მე ძალიან ვწუხვარ, რომ მაქ ნამოსვლას ვერ ვაბერხებ.

მიიღე ჩემი სალაში და გთხოვ, ნერილზე არპასუს დაუდევრობაში ნუ ჩამომართმევ.

მევიძრული სალმით — შალვა ქიქმაძე

ჩემი ახალი მისამართი: 3. rue de l'Abbé de l'Epée.

და, არ არის ლურსმნები, რომ კუბო გააკეთონ, და გვამები რამდენიმე დღეს ძეგს დაუმარხავი საავათმყოფოში. აქ გაეიგეთ, რომ კათოლიკოსი ლეონიდე ხოლერით გარდაიცვალა (206). როგორ ყოფილა მოდებული ხოლერი! ანეტას ნერილის შემდეგ 2 1/2 თვე გაიარა. ამ დროში ბევრი რამ შეიცვალა, ალბათ, საშინელებისაკენ, და ბოლო კი არ სჩაზა. სადღა არის ის პანია ადგილი, რომ შენი პანია იმდედი მოათავსო?!

რომ დაუფიქრდები ხოლმე, სიცოცხლე მასხრობათ მეჩვენება, მით უფრო ევროპაში, სადაც ომის ნადავლით გახელებული ხალხი დასჯდომია თავის დიდ სარჩოს, სჭამს და ძალლივით იღრინება. არ გაპბედო და ერთი პატარა ლუკა არ ჩამოაცალო. სირცევილით და ბრაზით იწვი, რომ ხედავ, რომ შენც მათთან ერთად სჭამ, როგორც სხვები, სანამ შეგიძლია, და იქ კი რისთვის, რომელი ცოდვებისთვის, რა დაინაშაულისთვის საცოდავი, ღატაკი, ნიჭიერი ხალხი შიმშილით და სენით უკანასკნელ სულ-სალევს. მზად ვარ, ძალიან ხშირად საქართველოს გზისკენ გამოვწიო.

სადაც სხვები იტანჯებიან, სირცევილია, მე მსუქან სამზარეულოს არ მოვცილდე. ევროპაში ყოფნა და იქ მუშაობა მხოლოდ შაშინ არის კარგი და ნაყოფიერი, როდესაც სახლი არ გეწვის, როდესაც იცი, რომ გაევს პატარა, ძვირფასი მიწა-წყალი, სადაც ხალხი შენზე ნაელებ კი არა, შენზე დ ბევრად ბედნიერი არის მისთვის, რომ თავის მიწის მშენებირებას ყოველდღე ჰედავს და არც ხედვა მოსწყინდება. აბა, რა შემიძლია მე გავაკეთო ეხლა აქ, როდესაც საქართველოს ამბებით ზნეობრივათ სრულიად განადგურებული ვარ.

მიიღე, ძმაო კონო, ჩემი გულწრფელი სალაში და სიყვარული.  
მალვა ქიქოძე.

## 50. დ. კაკაბაძეს

19-9-21

ფრეიბურგი. გერმანია.

ამ წერილის შინაარსი, შენ გარდა, არავინ უნდა იცოდეს!  
ძვირფასო ძმაო დათვიო!

ეს ნერილი, ალბათ, შენთვის თავიდან ბოლომდე გასაკუირველი იქნება. თუმცა, თუ ეხლა პარიზში იმყოფები, შესაძლებელია მისი დასაწყისი ქიტკო ასათიანიდგან (207) იცოდე. შენ გნერ, ჩემთ დათვიო, ამ წერილს და სხვას, ალბათ, არ მივწერდი. შენ გნერ, რადგან წვენ ბევრი რამ გვაერთებს და მასთან მჯერა, რომ გამიგებ და თბილად გამომეხმაურები.

მე გერმანიაში 11 ავგისტოს ჩამოვედ. ჩამოვედ სახელდობრ პატარა კურორტში ბად-ნოინარში, სადაც ასათიანის ცოლ-შვილიც იმყოფებოდა. უკანასკნელი სიცხეების გამო ძალიან ცუდათ ეგრძნობდი თავს პარიზში და, სანამ გერმანიის დათვალიერებას შევ]უდგებოდი, საჭირო ვცანი თრი კვირით საღმე წყნარ ალაგას შესვენება. ბად-ნოინარში პირველ სამ დღეს უცებ მოვიკეთე, თუმცა პატარა ბრონხიტი მქონდა და საღამოობით თავს დაღლილათ ეგრძნობდი. სამი დღის მერე ნელ-ნელა სიცხე მომიზარდა და ხელებამაც შაგრძნობინა თავი. ყურადღება არ მიმიქცევია, ხოლო საღამოობით ალკოლით ვიზელდი მკერდს და ზანდახან ასპირინს ვყლაპავდი. მადა ღმერთის მქონდა და ცუდი არაფერი მიფიქრია. ასე გაშინჯე, ქალებმიდაც ხელგართულათ გარშიყობდი და ახლო მომავალში ბერლინისევენ ვაპირებდი. მხოლოდ ეს იყო უკვე მეექვსე დღეს, მახლობელ ტყეში დავსეირნობდი. მახსოვს, ხიდგან ჩამოვარდნილ პატა მსხლის ასაღებათ დავიკუზე და ვიგრძენი თითქოს მარჯვენა ფილტვში, ძუძუს ადგილას, ცოტა შუა ხაზისკენ, ახლოს, რაღაცამ დაუბერა და რაღაც უძლურად ჩამოეკიდა მარჯვ. ფილტვში, მასთან დიდი ტკივილი, სუნთქვა და განძრევა დიდ ტკივილს იწვევდა. გამოვბრუნდი წვალებით ექიმთან. მან მითხრა: არაფერია, გაციცებულბართ. თავს უარეთ და რამ-



მონანიება ("ქავნა")

დენიმე დღეს ოთახიდგან წუ გამოხვალთო. მესამე დღეს, რადგან სიცხე-ებ მიმატა და ტკივილები მანუხებდენ, ნაველი მეორე ექიმთან. მან მითხრა: თქვენ გაქვთ ქრონიკული ბრონხიტი, მაგრამ გარდა ამისა, დარ-ნეუნებით ვერ გეტყვით, მაგრამ მარჯვენა ფილტვის წერი დაზიანებული უნდა იყოს. მირჩია 6 კვირა მოებში დაყოფა და ამ ხანში სრული განკურნეა აღმითქვა. მეორე დღეს (ხომ ხედავ, რა სისწავეა), საღამო ხაძს, ერთი დახველების შემდეგ ტყეში პირიდგან ძალიან ბევრი სისხლი ნამვარდა, ეს გამეორდა მეორე დილასაც. ეხლა კი დიაგნოზი მე თვითონ დავსვი და გადავწყვიტე, საქმე ძალიან სერიოზულათ იყო. მშიძარა არა ვარ, მაგრამ აქ შემეტინდა მისთვის, რომ უჩვეულო და მოულოდნელი იყო ჩემთვის ყოველივე ეს. სრულიად მოუმზადებელი ვიყავ. ჩემი თავი ჭლე-ქიანი ვერ ნარმომედინა. შენთან თუ ხანდახან ელაპარაკობდი პარიზში, ამას მხოლოდ სერიოზული ხუმრობის ხასიათი ჰქონდა, თორემ, თუ მე ფილტვები დამიზანდებოდა, ეს თავში არასდროს მომსვლია და თავს ბედნიერათ ვთვლიდი.

ნოინარში დარჩენა მეტი იყო და მეორე დღესვე ფრაიბურგში გამოესწორ. იქ ჩემი დეიდაშვილი, ბ. რამიშვილი, და სხვა ოთხი ქართველი მეგულებრიდა. ფრაიბურგში მეორე დღესვე გადავწყვიტეთ ერთი განთქმული პროფესორის კურტ ციგლერის ხახვა. მიეღლით. ციგლერი ირი კვირით დასასვენებლათ ნასულიყო და მისმა ასისტენტმა, პრივ-დოც., მიგვიღო. ძალიან გამშინვა, ნახველიც. რენტგენის სხივებზეც მა-ტრიალა და ასეთი დასევნა გვითხრა: ფილტვებში სრულიად არაფერი არის, მხოლოდ მარჯვენა ფილტვის ჯირბეალი დასივებია და სიცხეს მის-თვის აძლევსო. სისხლი კი ყელიდგან სდენია. ნავიდეს შვარცვალდის კურორტზე 6 კვირით, თავს მოუარის, არ გაცივდეს, ბევრი რიც სვა[ს], კეერცხები ჭამოს და ეს ავადმყოფობა სრულიად გაიღლისო. მეც გახარებული ნაცელი შვარცვალდის ერთ-ერთ კურორტში (საათნახევრის გზაა ურეიბურგიდან) და დავსახლდიოქ. სიცხეს მუდამ მაძლევდა და ზოგჯერ ძალიან დიდსაც. გახარებული ვიყავ ასეთი ასრით, მაგრამ ცოტა სკე-ტიკურათაც ვუყურებდი და, გავიგე თუ არა პროფესორი ციგლერი დაუბრუნდა საქმებს, ჩამოველი ფრეიბურგში და მივეღო ციგლერთან. ციგლერი ძალიან განთქმული და ძლიერი პროფესორია. მან ჯერ თავისი ასისტენტის აზრი ნაიკითხა და ჯერ გარეგანათ გამშინვა. ფრანგულათ ლაპარაკობს, ძალიან სიმპატიკური და ძალიან ახალგაზრდა შეხედულებ-ს კაცია. გაშინჯვის მერე მითხრა: თქვენ დიდი არაფერი გაქვთ, გაურთ, მაინც სხივებით გნახოთ? რასაკვირცველია-მეტე, ავჩარდი. შეხედა სხივებით და ერთი ნამის შემდეგ ხელი დაადო მარჯვენა ფილტვეს და ჩაღაც მოწყვალების დას აჩვენა და გერმანულათ უთხრა. მე ვიგრძენი, რომ რაღაც ახალი ნახა. სინათლე მოხსნა და მითხრა: იუ, monsieur. მე შევეკითხე, რა ნახეთ-მეტე. ფილტვი, - მითხრა: — ტუბერკულოზი არის-მეტე? — დიაბო, - მიპასუხა და ასეთი სურათი დახატა.

სთვა: აი, ეს ალაგი, შუა ფილტვში, ტუბერკულოზია. იმ შავი ნერტი-ლის ადგილიდან სისხლი დაგდინდათ ფილტვიდან. მერე სთვა: არის შემთხვევა, რომ ასეთი ტუბერკ. უფრო ადგილათ რჩება, ვიდრე ნეერის კატარი. მაგრამ აქვა მეორე ცუდი თვისება: საზოგადოთ ფართოვდება და შემდეგ ჩქარი ჭლექის ხასიათს იღებს.

ამისთვის, მე მგონია, საჭირო იქნება პნევმატორაქსის გაკეთება, ე. მარჯვენა ფილტვის დაყრუება. თუ სანატორიუმში ნასვლა არ შეუძლია, რადგან ძვირი ღირს, იყოს ცოტა ხანს ჰინტერცარტენი, იკეთოს, მე რომ ჩამალს მიუცემ, და იქნება იმდენათ შეუმცირდეს თვეში და-ზიანებული ადგილი, რომ პნევმატორაქსი საჭირო აღარ დარჩებსო. დავბრუნდი ჰინტერცარტენში. უნდა გითხრა, ნოინარში სისხლი რომ დავი-ნახე, მი საღამოსვე [ვ]უთხარი ასათიანის მეუღლეს, საქმე ასე არის: მე უთუოდ ფულტვიუნდა დავაყრუებინო, თორემ მაყაშვილის საქმე დამე-მართება-მეტე. ასე რომ მე გადანკვეტილი მქონდა ფილტვის დაყრუება



და ეს მირჩევნოდა ჭლექის ბაცილების ქონებას და მთელი სიცოცხლე იმ ბაცილებზე ფიქრს. ასე რომ ბ. ციგლერის თქმამ მე გამამართლა და სახსნელი გზაც მიჩვენა. ჰინტერცარტენში დღითი დღე უკვე უარესობას ვერძნობდი და სალამობით სიცე 39-39,5 ადიოდა. ეს ვუთხარი ფრაიბურგში ბ. ციგლერს და მან იმნამსვე სასტიკათ მოითხოვა ფრაიბურგში საავათმყოფოში ჩემი დანოლა და პნევმატორაქსის გაკეთება. ფრაიბურგში ჯერ ბ. ციგლერმა გამშინჯა, მერე წერილი მისნერა საავათმყოფოს პროფესორს და იქ გამიშვა. პროფესორმა შულებ (აავათმყ. პროფეს.) მიგვიღო, წერილი ნაიკითხა, გამშინჯა და ბრძანება გასცა იმ ნაშავე: არ არის მარკის ვალუტა, ისე გამოართვით ამას, როგორც გერმანელებს. პრ. ციგლერი ძალიან სიმპატიურათ მეპურნბოდა. იმ დღესვე დავწერე საავათმყოფოში, სადაც დღესაც ვნევარ. მომცეს მშვენიერი, სუფთა, ნათელი ოთახი, მაგმევენ შესანიშნავათ და დღეში მგონი ელიობა 55 მარკა. პროფეს., მგონი – ცალკე- გამშინჯა მეორე დილას ბ. შულემ რენტგენის სხივებით და მანაც ის ნახა, რაც ციგლერმა. სალამოს გარეგანი მოსმენით გამშინჯა და სთქა: მარცხენა ფილტვირალაც ისმის ცოტა და სჯობს, გამოვარკვით და სამ ზღვეს მოვიცადოთ. ამან ძალიან შემაშინა. მე ვიცოდი, რომ, თუ მარჯვენიდან ტუბერკ. ცოტა გადმოჰყო ფერი მარცხენაში, პნევმატორაქსი მეუძღვებელი გახდება და ნამდვილი სიკვდილი მომელოდა. იმ სამ დღეში, რა გამოვცადე, მხოლოდ მე ვიცი და ვერც გადმოქცემ. არ ვიცი, თუ გაეტეთრდი, მაგრამ სიკვდილის ჩემს გვერდით ყოფნა ცხადათ და უსასტიკესათ ვიგრძენი. მაგრამ განცდებზე ეხლა არ მოგწერ, პირადათ გეტყვი როდესმე. ამ წერილში განცდების ანერას განგებ ა[ვ]უზვიე გვერდი. დღეს მომეშვა ყველაფერი. პირველი სეანსი დღეს გამიკეთეს და, მაშასადამე, აქიმობა დაინყო და, მფონი, არ მოვკედები. ამისთვის აქნამდე არაფერი მომინერია. დღეს თავისუფლად გრერ. დღეს მარჯვენა ფილტვს კარგა ბლობა კუბიკ. მილიმეტრი პარტი ნაართვეს.

აი, ხომ ხედავ, ჩემო დათიკო, რა უბედურათ ტრიალებს ადამიანის ცხოვრების ჩარხი. ერთი თეის ნინ სიცოცხლით სავსე ეიყავი, დღეს შესაძლებელია ჩრდილებს შევერთებოდი უკვე, რადგან, ჩემთვის პნევმატორაქსზე რომ უარი ეთქვათ, მე გამნარებულ ცხოვრებას ვერ ვიტანდი და, სანამ ძალა და ნება შემწევდა, ჩემს სიცოცხლეს ბოლოს მოვუძებდი. ეხლა რომ უციქირდები ყოველივე ამას, ვფიქრობ, რომ ჩემი ავათმყოფობა ძალიან პგავს საწყალ ს. მაყაშვილისას. ის ყმანებილი, საცოდავი, უსათურდ მისმა საკუთარმა, საფრანგეთის ექიმების და მისი ამხანაგების უკულტურობამ დაღუპა, თორემ, მას რომ დროზედ გაენია ანგარიში, იქნება გადაერჩინა თავი. მე იმას არ ვიტავი ჯერ, რომ გადავრჩი და მორჩა. მაგრამ დიდი გარანტია კი არის. ცხადია, თპერაციას მისთვის მიკეთებენ, რომ ცხოვრებას დამაბრუნონ სალი და ჯანმრთელი, და არა იმისთვის, რომ მერე მუდამ სულ ავათ ვიყვე კიდევ. ექიმები მეუბნებიან აქ, რომ პნევმატორაქსის შემდეგ თუ დაზიანებულ ფილტვის ადგილი ამოშენდა, ჰაერის უკანე შეშეება შეიძლება და ფილტვის ალდგენაო. ესეც რომ არ იყვეს, ერთ ფილტვით სრულიათ თავისუფლათ ბეუძლიან კაცს მუშაობა და ცხოვრებაო. არ ვიცი, რამდენათ მართალია ეს და რანაირ ფარგლებშია მართალი, ეს კი ვიცი, გიორგი ჯაბადარს ერთი ფილტვი დაუყრუებული აქეს და გიორგი შენც გინახავს და მეც.

ვნახოთ, რა იქნება.

ეხლა თხოვნა, ჩემო დათიკო. ამ ამბავს გნერ მხოლოდ შენ და სხვას არაეს მივწერ. ვეცდები ცხოვრებას ჩემის საკუთარი ფულით დავუბრუნდე მსურს, ჩემი ეხლანდელი ამბავი არავინ იცოდეს. ასე რომ, შენ სამარეთ უნდა გადაიქცე და არსად და არავისთან, რაც მოგწერ, არ სთქა. ჩასაჭიროა. ნამოვედი მანდედან თრი ფილტვით, დავებრუნდები ერთით, ეისა რა საქმეა, რამდენი ფილტვი მაქვს ფილტს უკან. მაშ ეს თხოვნა კარგათ შეასრულე, ჩემო დათიკო, და შენ კი ხმირად მომწერ წერილები.

შემატყობინები, რას შვრებიან ამერიკულები. თუ არის მართლა მათი იმედი. და, თუ მართლა ეს 175 ფრ. უკანასენელია დელეგაციისაგან. აქ სთქვეს, თითქოს, ჩხერიელს ეთქვას: „თუ სტუდენტებს დახმარება მო(ვ)უსპეთ, მეთანამდებობიდან გადავდგებიო“. აგრეთვე, დათიკო, მე, აღმართ, ოქტომბრის დამლევამდე ვერ მოვახერხებ პარიზისეებ გამომგზავრებაზე ფიქრს. ჩვენი სურათები (უკანასკნელი ჩვენი ქონება) ერთად აწყვია ჩემს ძველ ატელიეში. პ. ლექსას-თან, შეიარე ხანდახან მასთან, კარგი ყმანვილია. ატელიედან არ ვადავიდეს და სურათები ღვთის ანაბარა არ დარჩეს (208). როგორც კი მიიღო ეს წერილი, ყველა ამ კითხვებზე მიპასუხე საფუძვლიანათ და თან შენი ფინისტერის კამპანიის შესახებ. თუ გააკეთე, თუ იმუშავე რამე?

უჰ, იმდენათ დავსუსტდი და დავიღალე, რომ თავი მიბრუა და ასოებს ვეღარ ვხედავ.

წერილი ამ მისამართით მომწერე: Herr B. Ramischvili (für Sch. Kikodze).

Nägeleseestr. 27 II, bei Steinhardt. Deutschland. Freiburg i.br.

## 51. ანდერძი

როცა თქვენ ფონტენებლოში (209) შესტრიფით ტყის არემარესა, მე აქ, ლოგინში მწოლარე, ვანვიმებ ცრემლს მდუღარესა, უწყევლი გაჩენის ნამსა და ცხოვრების ფამსა მჩარესა, უწყევლი დღეს, ოდეს ვესტუმრე რეიმბის ნგრეულ მხარესა (210), უხლა ვერდნობ, ჩემი ცხოვრების ნუთები დანათვალია; ამა სტრიქონთაც წერისათვის, ვახ, აღარ მიქრის თვალია. სიკვდილი ყოველ კაცისთვის გზა ერთობ გარდუვალია, ორგინალობა არ სწევების, ძველია, არ ახალია.

რა ვიგრძებ ბოლო ყოფისა, დაეჯექ ანდერძის ნერათა, ვეღარა ვუძლებ სისუსტეს, გულის უდგრომლათ ძერიათა, ძალა დავკარგე, სიმხნევე, რაც ბლომად მეონდა ძერებათა, ანდა ვაგდივარ უღონოდ, ლაჩირად, ლოგინის მცველადა. ჩემი გონების სალარო, არასდროს განამტყუნარი, ეხლა ბურუსში ეხვევა სუსტი, გზა გაუჩინარი. დაჰკარგა აზრის სიმტკიცე, ტკბილი ოცნების უნარი, გამმრალსა ხაცობს ემსგავსის, გამიხდა დასანუნარი. ესე ანდერძი, ნანერი, არს მისი ბოლო ხატება, ყოველ სტრიქონზედ მას ძალა აელდება, არ ემატება. სულ ახლო არის, თვალნინ სჩანს სიკვდილის გამოცხადება. ბოლო სტრიქონთან უთუოდ სულიც – თან ამოშეარდება. ლმერთი არა გნამთ, რა გიყოთ, ვით დაგაფიცოთ ხატია, ანდერძით ამით სიმდიდრე მე არ გზით დამიქადია.

ეს სიღატიკე ყველასთვის არ ტყუილია, ცხადია: თქვენია, რაც რომ მიღებავს, რაც სიმწრით დამიხატია. ვიცი, რომ ჩემს სურათებზე არ იხმართ ფიქრთა ნუვეტათა, არაფრით ჩასთვლით იმ ოფლას, შუბლს რომ ხდიოდა წვეთათა, ჩემს ნაოცნებებს არ დასდგამთ ფიქრების ნათელ სვეტათა, პირიქით, იხმართ სურათებს ნაგავის ასახვეტათა. ყველა ეს ვიცი, გავზომე, ერთჯერ გამოვჭერ ნაზათა, მე თქვენი ნდობა მიჯდება ჩემი ცხოვრების ფასადა. ამას გთხოვთ, რომ მე ნუ გამხდით ხელოვან-ოინბაზათა. ჩემი ჯიბისა სიღრმეში სულ ასიოდე ფრანგია, ბევრი რომ სძებნოთ, ვერ ნახოთ სხვა უფრო მძიმე ბარგია. იმით დამკრძალეთ, ეხლახან მე შხლოდ ესღა მარგია. ძველებსაც უთქვამს: დაფასდის, კაცი თუ ჭირში ვარგია. ძლიერ დავმადლი, თუ გავძელ თვრამეტი სექტემბრისათვის,

იგი დღე არის დღეობა, არ ვფიქრობ თავის ხსნისათვის.  
 არცა თავს ვსნირავ სამშობლის, რაცა თუ ვიბრძეო სხვისათვის,  
 მხოლოდდა ვფიქრობ სიკედილსა ქსნის ერისთავთა დღისათვის.  
 კორეის ლორდ-მერი (211) ზომს ცოცხლობს ორმოციდღე და ღამიერა,  
 არცა რა უსვამს საწყალსა, არცარა შეუჭამია,  
 მე კი სულ ეჭამდი, სულ ვსვამდი, არ მისვენია წამია,  
 ამგვარსა პეტა „ფუ“ უუყავ, ერთი კი არა, სამია,  
 ეხლა დრო არის ავჩეარდე, დავცე ბუკი და ნაღარა,  
 თქვენ დაგირიგოთ, რაცა მაქეს, ჩემთვის აღარ მსურს, აღარა.  
 ლადოს (212) ვუმკეოდრებ ნახშირსა, თმა შეიღებოს ჭალარა,  
 ჭუასელს (213) — ფულის პორტფელსა, ფულს არ დაპეჯარგაეს, აღარა.  
 ნიკოს (214) ვუმკეოდრებ ყველაფერს, ხად ყელსაზვევთა რიგია,  
 კაცს ჰვავდეს, ყელსა შეიკრას, როგორც წესი და რიგია.  
 სანამ სწავლობდა, ქართვლის კენ იჩეარდა, ლტოდა იგია,  
 სწავლას რომ მორჩია, აქა ზის, დმერთმანი, ვერ გამიგია.  
 ამისთვის მე მას ვუმკეოდრებ ნიმადურს მუჭის ტოლისა,  
 არ დააყოვნოს, ამოსცხოს მან თავის კუდის ბოლასა.  
 ქართვლით გაფრინდეს, ემსგავსოს საბა-სულხანის მოლასა,  
 ვირსაც გაუსწრობს, დასტოვებს უბრალო კვნესა-ძრწოლასა.  
 კოტესა კობაზიძესთვის (215) სიტყვა აქ მოსატანია,  
 გაზი (216) მოსწონდა ჩემთანა, გაზი რა ნასატანია?  
 მე მას ვუმკეოდრებ იმ ოთახს, ხადაც რომ წყლითა კრანია,  
 ისხას და ისხას თავზედა, არ დააყოვნოს ზანია.  
 დათიკოს (217) სულ მოლად ვუსურვებ მის ძველ და დიად ნატვრასა,  
 რომ დაანებოს მან თავი ფილოსოფიის ფანტვასა,  
 ჩემ ატელიეს სივრცეზე კარდონთა რიგი დადგასა,  
 სჩევერია ერთად დათიკო ათი სურათის ხატვასა.  
 ინწერველისთვის (218) ის დამრჩია, რაც ეხლა აღარ მჭირია,  
 ვშიშობ, ის მიყცე, რაც არ ჰხამს, საქმე ვემნა გასაძირია.  
 გლეზერშა სული შეზარა, პეცოლდშა ჭევა ამირია,  
 მიიღოს უკან ზადლობით, მისი ნაიღოს ჭირია.  
 კოტე თოფურიძესათვის (219) — ლექსიკონთა მთელი წერბა,  
 რომ შეიძლოს უფრო კარგათ ფრანგულ ენის გასწორება.  
 თორემ რას გავს, მასთან თუ ხარ, სიტყვის თქმაც კი გეიძელება,  
 გაგისწორებს, თუმც თვით მასაც გასწორება ეჭივრება.  
 რომ გავათავო საჩეაროთ მე ჩემი განაწეანი,  
 მინდა ვასიკოც (220) ვახსენო, მისენ ვენა სუსტი მზერანი.  
 სანამ ჩემსავით სმინდა, არ სწყინდა ჩემსკენ ცქერანი,  
 ეხლა აღარ სჩანს, გავვიძლა, ეცვალნენ ბედის წერანი.  
 რომ არ დამრჩეს მომდურალად სამტრო ენა მათეული,  
 რომ არ იყოს სიკედილს შემდეგ ჩემი გვარი გათრეული,  
 რომ არ დამსვას სხვების თვალში შეგინებულ-ჩათრეული,  
 მომისხნია მისგან ვალი — ფრანკის ხუთი ათეული.  
 რაღა დამრჩა? სულ გავკრიფე სახლში მქონდა ბარგი რაც კი,  
 საშებს (221) რაღა მიკურინო, როგორ მიყცე შალვას ფრაკი (222),  
 რომ დავიხსნა დახურვიდგან დათოს სინემატოგრაფი (223).  
 ვნერ ამ ანდერძს კიკო ვინმე, მომაკევდაცი ვარ მე რაკი,  
 ვადასტურებ, რომ ჭევაზე ვარ მოანდერძე მე საწყალი;  
 რომ შეგნებით გაზომილა ამ უსტარის თითო პნკარი,  
 უკანასკნელ ამ ნუთამდე მიღვივს აზრის ნაპერნეალი,  
 გიგათ თუ მე მიმიჩიონ, მინას მიმცენ განამწყერალი.  
 ღმერთო, გმადლობ, შევასრულე სანაქებოდ ჩემი წება,  
 ისე გიჩნდეთ ეს ანდერძი, ვითა მოსეს ათი მცნება.  
 თქვენთან იყოს სამუდამოთ სიყვარულით ჩემი გრძნება,  
 აღარ ვნალვლობ ამას იქით, რომ ნამერთვას კიდეც ცნება.



ჩალტური თქმულება „ამირანის“ ილუსტრაცია

დმერთო, გევედრი, მოილე მათზე სჯა ას-ძალოვანი  
ქართველი შემოიფერე ქაბუკი, გინდ ბანოვანი,  
მე კი მიმილე ნიაღში, სული კუშტი და მხცოვანი,  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

\*\*\*

გათენდა დილა ნათელი, ბრწყინვალე, ცხელი, მზიანი,  
ჩემს ფანჯარას ზედ მოაწვა ცა ლურჯი, თავაზიანი.  
ჩიტი ქიკჟიკებს, მზე ხარობს, არ ამას მოაქცს ზიანი,  
ჩემ გულშიც ფეხებავს სიცოცხლე, სიცოცხლე ათას გზიანი.  
გუშინ რომ სიცხე მაღრჩობდა, ვერ გავთბი, ისე მციოდა,  
[ამ დილას ჩემსა ლოყებსა ნითლად ალმური] სდიოდა,  
გუშინდელ სიძაბუნესა ამ დილით ვინდა სჩიოდა.  
ერთი-და მედგა საკითხად: ძალა ვიგრძენი, მშიოდა,  
ასე ცფიქრობდი, გიურა ლორდ-მერი ეინმე ეორეისა,  
საჭმელს აძლევენ, არა სჭამს, კუჭი მთლად მოიბორკისა,  
კაცო, გაძლევენ, შესჭამე, ნულარ დაინცებ ბორკილსა,  
ბიფშტექსი ან ესკილოპი, ანდა კოტლეტი პორეისა.  
რომ ნაეკითხე ნანერი, მეც შემრცხვა, შენი მტერია,  
რა მომიჩმახავს, რა მითქვამს, რა ნიგნი დაძინერია.  
მე თუ არა ვთქვი, სხვა იტყვის: ამის მნერალი შტერია.  
უარს ვამბობ [ცველა] იმაზედ, რაც ჩემს ანდერძში სწერია,  
ეშმაკო, შენი მათრახი (224) ილოცოს ძალგულოვანი,  
მოსცხე ჩამოთვლილ პირებსა, ისმოდეს მათი გლოვანი.  
მეც მიმსახურე ამისთვის, ვყო ძეელებურ მძლოვანი,  
სჯობს ყოველგვარსა სიკვდილსა სიცოცხლე სახელოვანი.



მიეცა ესე მონმობა შალვა გერასიმეს ეკიქიძეს მას შინა, რომ ის, ქიქიძე, ირიცხება სახელმწიფო სტიპენდიანთად და იგზავნება საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის ხარჯით საზღვარგარეთ უმაღლეს სპეციალურ სნავლა-განათლების მისაღებად, რასაც განათლების სამინისტრო ამონმებს სათანადო ბეჭდის დასმით დახელის მოწერით.

განათლების სამინისტრო სთხოვს უცხოეთში მყოფ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ ნარმომადგენლელთ და ავრეთვე იმათ, ვისაც მინდობილი აქვთ რესპუბლიკის მოქალაქეთათვის ზრუნვა და მფარველობა, უკეთუ ზემოხსენებული სტიპენდიანთი ქიქიძე მიიქცა მათდამი, აღმოუჩინონ სათანადო დახმარება და მზრუნველობა.

დირექტორი ეუ. ბერიძე

საქმის მნარმოებელი მ. ბერძენიშვილი (232)

#### 6. დ. კაკაბაძეს

(23 სექტემბერი, 1921)

დიდათ პატივცემულო ბ-ნო დავით!

ჯერბოდიშვილი ვიხდი, რომ თქვენთვის პირადათ უცნობი კაცი წერილს გნერთ, მაგრამ ამას საჭიროება მოითხოვს.

შალვას ნაამბობიდან ვიცი, თქვენ მისი კარგი ამხანაგი ხართ. შალვას ავადმყოფობის შესახებ მინდა მოვნერით. ამ ოთხი დღის ნიმუშით მან გამოგიგზავნათ წერილი (233), სადაც დანცრილებით მოგიყვებოდათ თავის ამბავს. იმ წერილიდან გაიგებდით, რომ ივი ფრეიბურგის საავადმყოფოში წეს ცალი (მარჯვენა) ფილტვის „დასაყრუებლათ“ („პნოიმატორაქსი“ ჰქვია ამ ზომას), რათა მეორე მაინც გადარჩეს ტუბერკულოზის. იმასაც მოვნერდათ შალვა, რომ ეს „პნოიმატორაქსი“ დროგამოშეებით მარჯვენა მხარიდან ჰაერის გამოღებაში მდგომარეობს.

და აი, ორშაბათს, ენერისთვის 19-ს, პირველათ გაუკეთეს იგი. პაერის გამოღების შემდეგ შალვა მაინც ვერ გრძენიბდა თავს უკეთესად, პირიქით, მეორე და მესამე დღეს სიცხვემ მოუმატა და სისუსტემაც გუშინ პროფესორმა მიმიზმო თავისთან და მითხრა: ჩვეულებრივად პაერის გამოღების შემდეგ ავადმყოფი თავს უკეთესად უნდა გრძნობდეს, ამას კი უარესობა ეტყობაო. საქმე მეტად სერიოზულად არის. ჯერ იმედი არ დამიკარგავს, მით უფრო, რომ ერთხელ გამოცელეთ მხოლოდ პაერი, შემდეგ ორშაბათს კიდევ გამოვიღებთ და ვნახოთ, რა გავლენას მოახდენსო. მაგრამ, თუ ასე გასტანა, ვფიქრობ, ავადმყოფი ერთ თვეში გათავდესო. ავადმყოფს ნუ ეტყვით ამასო. მეც, რასაკვირველია, შალვას არ უთხარი, ხოლო საჭიროდ დაეინახე თქვენთვის მაინც მომენტერა ეს. პროფესორი გუშინაც და დღესაც შემპირდა, ყოველივე დონისძიებას ვიხსმართ ავადმყოფის გადასარჩენათო. ასე რომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ამ მხრივ, რაც შესაძლებელია, ყველაფერი გაექთდება. არავითარ ხარჯს არ დავერიდებით. ფული ჯერ-ჯერობით საქმაოთ არის, რაღა თქმა უნდა, ჩეენც ჩევნს მოვლას არ მოვაკლებთ შალვას, სხვა რომ არა იყოს რა, ჩემი ღვიძლი დეიდაშვილია. ამას იმიტომ ვწერ, ამაში რომ მაინც დამშვიდებული იყოთ მანდ.

მე ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ამ ამბავს, ჯერჯერობით მაინც, მხოლოდ რამდენიმე შალვასთან დაახლოვებულ პიროვნებას გადასცემთ იმ პირობით, რომ არ გაავრცელებენ. თუ ვის გადასცეთ,

ამის შერჩევას თქვენ უფრო შესძლებთ. ჯერ იმდი არ დაგვიკარგავს და, ეს ამბავი რომ საცოდაც მამამისის (234) ყურამდის მივიღეს, უერ გადაიტანს. ამითომ ჯერ ნუ გავავრცელებთ. აგრეთვე, თუ ის პირები შალვას წერილს მისწერენ — არუნდა შეამჩნევინონ მას, რომ ეს ამბავი იცავს, რადგან, რამდენადაც ვიცი, შალვამ მხოლოდ თქვენ გაგანდოთ თავის ავადმყოფობის ხასიათი; ხოლო, ეხლა რომ საქმე ასე ცუდათ არის, ეს, როგორც ზევითაც ვნერდი, თვითონ შალვამაც არ იცის და არც უნდა გაიგოს. რომ გაიგოს, მარტო დარდი და წუხილი მოკლავს. იმედი მაქეს, რომ ამ საქმეს კარგათ მოაგვარებთ. ამით გავათავებ. თუ რამეს მომწერთ, ძალიან დამავალებთ. მეც, თუ რამ ახალი და საყურადღებო მოხდება, შეგატყობინებთ. ჩემი მისამართია! Deutschland. Freiburg i/br. Nageleseestr. 27 II bei Steinhardt. Herrn B. Ramischvili.

თქვენი ბიძინა რამიშვილი.  
ფრაიბურგი, 23 ენებისთვე, 1921 წ.

## 7. დ. კაკაბაძეს

ფრაიბურგი. 1 ოქტომბერი, 1921 წ.]

პატივცემულო ბ-ნო დავით!

დღეს მივიღე თქვენი წერილი, რისთვისაც დიდათ გმადლობთ. ორშაბათს შალვას მეორეჯერ გამოუღეს ჰაერი. ოთხშაბათს სიცხემ საგრძნობლად დაუკლო. ხუთშაბათსაც და გუშინ დილითაც დაკლებული იყო სიცხე. ასე რომ ცოტა იმედი მოგვეცა. მაგრამ საუბედუროთ ეს სიცხის დაკლება ხანგრძლივი არ გამოდგა. გუშინ საღამოს მისცა ისევ დიდი სიცხე (40,8). დღეს დილითაც 40,5 პქონდა. დღეს პროფესორი ვეღარ ვნახე, ადრე ნასულიყო, მაგრამ, ცხადია, კარგს არაფერს მეტყოდა. უფროს დას ველაპარაკე და მითხრა, მდგომარეობა უნუგემოა. ორშაბათსან სამშაბათს კიდევ გამოუღებენ ჰაერს, თუმცა, თუ სიცხემ არ დაუკლო, ამის გაკეთებაც სახიფათო გახდება. თუ თქვენ ჩამოსვლას ფიქრობთ, უნდა აჩქარდეთ, რადგან, თუ პასპორტის აღება შევიპროლდათ (რაც ბმირად ხდება), ვაითუ, შალვას ვეღარ ჩამოუსწოროთ. წერილი მოინერეთ, ხოლო ჩამოსელის დრო ტელეგრამით შემატყობინეთ, სადგურზე რომ დაგხვდეთ. (235)

თქვენი ბიძინა რამიშვილი.  
ფრაიბურგი, 1 ოქტომბერი, 1921 ნელი.

## 8. დ. კაკაბაძეს

ფრეიბურგი. 21 ოქტომბერი.

პატივცემულო ბ-ნო დავით!

თქვენს ნინაშე დიდი გიხდი: წერილი დავაგვიანე. ჩემი ბრალი არ არის სულ მოლად. შალვას სახის ფოტოგრაფიული სურათები რამდენიმე დღეში უნდა ყოფილიყო მზად, მეც ვიფიქრე, წერილს და სურათებს ერთად გავაგზავნი-მეტე. ფოტოგრაფია აქამდის მანგალა და წერილიც დაუნერელი დამრჩა.

შალვა შვიდ ოქტომბერს დილით გარდაიცვალა. უკანას ენელ წერილშიც გწერდით — ვეღარც მეორეჯერ „პნომატორაქსი“-ს გაკეთებამ შესძლო მისი ავადმყოფობის პროცესის შეჩერება. შალვას სწრაფი ჭლექი ჰქონდა (სკორთებია ხახოთკა). როგორც პროფესორი ამბობს, პნომატორაქსი ხანდახან შესძლებს სწრაფი ჭლექის დროსაც ავადმყოფობის პროცესის შეჩერებას, დროებით მაინც, თუ სავსებით არა. საუბედუროდ, შალვას მეტად მძიმე ხასიათის სწრაფი ჭლექი აღმოჩნდა, ასე რომ ეს ერთადერთი საშვალებაც ამ საშინელ სენის ნინააღმდეგ უძლური შეიქნა. ასე დავკარგეთ ეს ნიჭით სავსე და უსაზღვროდ სპეციალი ადამიანი, მერე ასე შორს სამშობლოდან! საშინელებაა პირდაპირ!

უკანასკნელ დღეებში შალვას გულმაც უმტყუნა და საშინელ სისუსტეს გრძნობდა. პულსის ცემა ძალიან ჩქონდა, მაშინაც კი, სიცხეს რომ უკლებდა. ჯერ უნინაც სისუსტის გამო ხანდახან ცნებას ჰქარგავდა და აბოდებდა, მოჩვენებები ჰქონდა ღამით და დღისითაც, სამი უკანასენელი დღე კი თითქმის სულ არ მოსულა სრულ ცნებაზე. შეკითხვაზე ზასუბს იძლეოდა, ჩვენც გვცნობდა, მაგრამ ამავე დროს გამუდმებით ვიდაცა ეჩვენებოდა და ელაპარაკებოდა. მხოლოდ იძვიათად მოვიდოდა რამდენიმე წუთით სრულ ჭკუაზე, მაგრამ მაშინაც იმის არაქათი აღარ ჰქონდა, თავის მდგომარეობაზე დაფიქრებულიყო. ამიტომ მას სიკვდილის ნინ არაფერი უსურვია და არც შეეძლო ასეთი რამ. გარდაიცვალა შვიდს, დილის ოთხ საათზე. მასთან მოწყვლების და ათევდა ღამეს და, იმის თემით, თითქმის სრულიად უტანჯველად განუსვენია. იმედი ყველას დავარგული გვერდა მისი გამობრუნების, მაგრამ ასე ადრე თუ გათავდებოდა, აღარ გვეგონა, ვფიქრობდით, სამ ოთხ დღეს მაინც გასძლებდა კიდევ.

დავასაფლავეთ ათ ოტომბერს ფრაიბურგის სასაფლაოზე. განსვენებულს დარჩა ცოტაოდენი ფული, ასე რომ დასაფლევებისთვის თითქმის გვეყო. საფლავი მშევრიულ კარგ ადგილს არის. საუბრულოდ, პროცესიის და საფლავის სურათი ვერ გამოვიდა კარგად. (236) ასე რომ, იქიდან ბევრს ვერაფერს დაასკვინთ. როცა საფლავს გავამშვენიერებთ, ბუჩქებს და ხეებს დავარგვევინებთ ზედ, მაშინ კიდევ გადავიღებთ სურათს. საფლავის მოსაწყობად ფულია საჭირო: ბ-ნ ქორქიას ჩამოტანია შალვასათვის 175 ფრანკი, რომელიც მხოლოდ დღეს მიეკიდე. ამ ფულიდან, ვფიქრობ, მოვახმარო ნანილი საფლავის მოწყობას. ხის კუბომი ცინკის კუბო ჩავადგმევინებთ იმ შემთხვევისთვის, თუ მომავალში მამა მისმა ანდა მეგობრებმა მოინდომეს გვამის სამშობლოში გადასვენება. გერმანიაში მყოფ სტიმულიატ სტუდენტთა კომისიამ დაადგინა — დაუდგას შალვას ძეგლი. კომისიასაც რომ არ დაეფგინა, ჩვენც ვფიქრობდით აქ მაგის შესახებ, თუ ფული გადაგვრჩებოდა (237). კარგი იქნება, თუ მაქაური სტუდენტობაც გამოსთვევამს თავის აზრს. საერთო ძალებით და იმ ფულით, რომელიც, იმედი მაქებს, ბ-ნ ქორქიას მიერ ჩამოტანილ 175 ფრანქს გადარჩება (მე ვფიქრობ 1000-დან — 1200 მარკამდე), შესაძლებელი იქნება კარგი ძეგლის დადგმა. ფასების შესახებ მე ვიკითხე აქ. არის მარტივი, მაგრამ საკმაოდ ლამაზი ძეგლები 800-დან 1400 მარკამდე. თუ უკეთესი ვერ შევძლით, ესეც კარგი იქნება. მოინტერეთ თქვენ თქვენი აზრი ამის შესახებ. მე მეომი, ასე 600-700 მარკას აქ, გერმანიაში, და ამდენსავე საფრანგეთში ადვილად შევაგროვებთ, 2000-2500 მარკად კარგი ძეგლი შეგვიძლია ვიყიდოთ. თუ ეს შესაძლებელი და სასურველია, თქვენ იქნებ მანდ დახაზოთ დაახლოებითი ფორმა ძეგლის და შემდეგ აქ შევუკეთთ იმისთანას. ყოველ შემთხვევაში, მომნერეთ დაწვრილებით, თუ როგორ მოვიქცეთ. თუ ამ ასლო მომავალში გვამის გადასვენება სამშობლოში მოხერხდა, მაშინ საჭიროც აღარ დარჩეს იქნებ ძეგლის დადგმა. მაგრამ ეს, ცხადით, ვერ მოხერხდება.

პროცესიის სურათები, როგორც ხედავთ, ვერ გამოვიდა კარგი. საყდარში შექი არ იყო საქმაო, საფლავზე კი მზე იყო მეტისმეტი. ასე რომ, არც ერთი არ არის სახეირო. შევცდით, ის მომენტი რომ არ გადავიღეთ, კუბო რომ მიგვეონდა საფლავისკენ. სახის სურათები საქმაოდ კარგი უნდა იყვეს. ესენი აქაურ საუკეთესო ფოტოგრაფის გადავალებინეთ და ძალიან ძვირიც დაგვიჯდა. ჩასაც ეხლა გიგზავნით, ეს საერთო ხარჯებში შევიტანეთ. ხოლო, თუ კიდევ უნდა ვინმეს მანდ შეიძინოს, იმან თვით უნდა გადაიხადოს ფასი სურათის. სახის სურათი თითო 90 მარკა ღირს (პროცესიის - თითო 7 მარკა). ძალიან ვწუხვარ, რომ შეძლება არ გვაქეს ისე გამოვაგზავნოთ შემდეგი სურათებიც და ძალიანაც მრცევენია, ამას რომ გნერთ, მაგრამ ვცდილობ, ძეგ-

ლისთვის გადარჩეს ცოტაოდენი ფული და ამიტომ გვეპატიება ეს. „ნეგატივს“ შეინახავენ. თქვენ მანდ გამოარკვით, თუ რამდენი და რომელი გინდათ კიდევ, და მყისვე შევუკვეთავთ.

ხვალ სახლში მივწერ შალვას დაკარგვის ამბავს და სურათებსაც გავაგზავნი. ამ წერილისთვისაც სურათებს ვუცდიდი. ვფიქრობ, ჩვენებს მივწერო და არა მამამისს ან მის დას. ასე სჯობია, უფრო მოფრთხილებით გადასცემენ ამ საშინელ ამბავს, თორემ უცბად, ვინ იცის, რა მოუკიდეს საბრალო მამამისს.

ამ სამი დღის შემდეგ მე ჰაიდელბერგში მივდივარ, მომავალ სე-მესტრიდან ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ვიქნები. ჩემი მისამართი ამიერიდან შემდეგი იქნება: Heidelberg. Kaiserstr. 64 II, bei Kröel. მე აქ ყველა საქმეებს ერთ ჩემ კარგ ამხანაგს ვაბარებ, რომელიც ფრაიბურგში რჩება და ყველაფერს გააკეთებს, რაც საჭირო იქნება. ჰაიდელბერგი ფრაიბურგიდან 3 საათის სავალზეა, მეც შემიძლია ჩამოსედა, თუ ეს აუცილებელი შეიქნა. მოგნერთ ჩემი ამხანაგის მისამართსაც, ყოველ შემთხვევისთვის: Freiburg i. Br. Nähelessestr. 2711, b. Steinhardt. Herrn stud. rer. pol. N. Imnaischvili. (238) კიდევ შესაკვეთ სურათების რიცხვიდა ფული შეგიძლიათ პირდაპირ ამის გამოუგზავნოთ.

ეხლა კიდევ ერთი რამ. შალვას ცოტა რამ ნივთები დარჩა: ტან-საცმელი, საცვალი, წიგნები და სხვა. მიმაქვს ჰაიდელბერგში, რომ, როცა შემთხვევა მომეცემა, სამშობლოში გავაგზავნო. ეს, ალბათ, მანამდის არ მოხდება, სანამ მე თვით არ ნავალ საქართველოში. მისი ნივთები მანდაც იქნება რამ, რას უპირებთ თქვენ? მომნერეთ ამის შესახებაც. (239)

პატივისცემით თქვენი ბიძინა რამიშეილი.

## 9. მშობლებს

ჰაიდელბერგი. 25 ოქტომბერი, 1921 წ.

შეირფასო მშობლებო!

ამ ჩემ წერილს, სიხარულის ნაცვლად, მწუხარება მოაქვთ თქვენთვის: საშინელი უბედურება დაგვატყდა თავს და ის უნდა შეგატყობინოთ. შალვა, ჩერენი საყვარელი შალვა, აღარ გვყავს. გარდაიცვალა ამ ორი კვირის ნინ ჭლექით ქალაქ ფრაიბურგში. ჯერ ბიძია გერასიმესთვის ანდა ანეტასთვის მინდოდა მიმერწრა ეს წერილი, მაგრამ შემდეგ გადავიციქორე. ვინ იცის, რა გავლენა იქონიოს ამ საზარელ ანდის უცხად გავებამ ამათზე და ერთ უბედურებას იქნება მეორეც მოყვეს. ამიტომ ისევ სჯობია, ჯერ თქვენ და სხვა ნათესავებმა გაიგოს ეს, და შემდეგ, როგორც საჭიროდ და უმჯობესად დაინახავთ, ისე მოიქცევით.

დავინყებსულ თავიდგან. შალვას, კარგა ხანია, უნდოდა გერმანიაში ორი-სამი თვით ჩამოსედა ამ ქვეყნის სანახავად, ენის შესასწავლად და მუზეუმების დასათვალიერებლად. უკანასკნელ დროს კი, როგორც თვითონ მნერდა, რაკი სტიპენდია შეგვიმცირდა, იმ მოსაზრებებითაც, რომ გერმანიაში უფრო იაფად დაუჯდებოდა ცხოვრება (გერმანიის ვალუტის დაცემის გამო იმისთვის, ვისაც ფრანკები აქეს, გაცილებით უფრო ხელსაყრელია გერმანიაში ცხოვრება). აგვისტოს ბოლო რიცხვებში მისი ნერილი გერმანიის ერთ პატარა კურორტიდან (Bad Neunahr-დან), ჯერ იქ ჩამოსულიყო. მნერდა: ცოტა ავად ვარ, ბრონხიტი მქონდა ბოლო დროს პარიზში, ჯერ არ მოვრჩენილვარ, ამიტომ აქ შევიცდი კიდევ რამდენიმე დღეს, შემდეგ ბერლინში ჩავალ ცოტა ხნით და, ბოლოს, შენ გენვევი ფრაიბურგში. მეც ასე ორ-სამ კვირაზე ადრე იმ ნერილის მიღებიდან არ უელოდი შალიკოს

ფრაიბურგში, მაგრამ ორი დღის შემდეგ (ასე 25 თუ 26 ავგვისტოს) მოულოდნელად მივიღე მისი ტელეგრამა — ფრაიბურგში მოვდივარ და დამხვდით. ჩამოვიდა და მიამბო: დღეს დილით სისხლი ნამსკად უცბად პირიდან და ამიტომ ისევ ფრაიბურგში გადაუწყვიტე ამოსელა, საუნივერსიტეტო ქალაქია, კარგი პროფესორი-ექიმები იქნება, მერე ენაც არ ვიცი და შენ მომებმარებით. მეორე დღესვე ნავედით (შალვა, ლევან ხუნდაძე, რომელიც მაშინ ძმისთან იყო ფრაიბურგში ჩამოსული, და მე) საუკეთესო შინაგან ავადმყოფობათა ექიმთან პროფ. ციგლერთან. ციგლერი არ დაგვეხვდა, სააგარაკოდ იყო ნასული, იყო მისი მოადგილე — პრივ-დიცენტი კონიგსფელდი. გაშინჯა ამან რენტგენის სხივებით, თვით ფილტვებში ვერაფერი უნახა, ნახველიც გაუშინჯა, იქაც არაფერი აღმოჩნდა. მისი აზრით, შალვას ჰქონდა რუსულად რომ ესთქვათ, გასარის ლეიხები; სისხლი ყელიდან ნასკადებოდა, ფილტვთან კავშირი არ აქვსო. მხოლოდ თავის მოფრთხილებაა ხაჭირო, თუ გაცივდა, მაშინ ფილტვებზე ადვილად გადაეა და ტუბერკულოზად გადაიქცევათ. ურჩია შალვას შვარცვალდში (მთებში) ნასვლა და დასვენება. შალვაც ასე მოიქცა, მაგრამ ნინადგრძნობა მაინც ცუდი ჰქონდა, თავსაც ვერ გრძნობდა ეარგად. ამიტომ სამი-ოთხი დღის შემდეგ ციგლერი რომ აგარაკიდან დაბრუნდა, შალვაც ჩამოვიდა პინტერცარტენიდან (აგარაკია შვარცვალდში) ფრაიბურგში და ამასაც ეჩვენა. ამანაც ხელახლა რენტგენის სხივებით გაშინჯა და მარჯვენა ფილტვში, შუა ადგილას, აღმოაჩინა ტუბერკულოზი. ამას სისხლის ნასკადომაც ამას (ტუბერკულოზს) დაუკავშირა. საჭიროა ორი-სამი კვირით შეცდა, რომ ტუბერკულოზის ნამდვილი სახე გამოვარევითო; თუ ამ ხანში იგი უფრო გაძლიერდა, მაშინ საჭირო იქნება მარჯვენა ფილტვის სრულიად დაყრუება, რათა მარცხენაზე არ გადავიდესო, ხოლო, თუ ტუბერკულოზი არ გაძლიერდა და პაციენტმა ამ ხანში უმჯობესობა იგრძნებო, მაშინ აღარ მივმართოთ ამ რადიკალურ ზომასო. ასე რომ ამანაც ორი-სამი კვირით ისევ მთებში ნასვლა ურჩია. შალვაც ნავიდა, მაგრამ ისევ ისე ცუდად გრძნობდა თავს. ერთი ორჯერ დიდი სიცხეც მისცა, ამიტომ ამ „ორი-სამი კვირის“ გასვლას აღარ დაუცადა და ერთი კვირის შემდეგ ისევ ჩამოვიდა ფრაიბურგში ციგლერთან. ციგლერმა გაშინჯა და საჭიროდ დაინახა ცალი ფილტვის დაყრუება. მისწერა თავის ამხანაგ პროფესორ შულეს, ფრაიბურგის ერთ-ერთ საავადმყოფოს უფროს ექიმს, და შალვაც ასე 11-12 ენცენისთვეს დავაწვინეთ საავადმყოფოში, პროფ. შულემაც გაშინჯა და ამანაც მარჯვენა ფილტვის დაყრუება, რომელსაც მეცნიერულად „პნოიმატორაქსი“ ჰქია, საჭიროდ დაინახა. ეს „პნოიმატორაქსი“ იმაში მდგომარეობს, რომ მარჯვენა მხრიდან რამდენჯერმე ჰაერს გამოუღებენ ავადმყოფს. ამით ცალი ფილტვი მოიკუშება და „დაყრუებება“. პირველად რომ გაუკეთეს შალვას ეს „პნოიმატორაქსი“, უკეთესად მაინც ვერ იგრძნოთავი. სიცხეს ძველებურად აძლევდა. სამი დღის შემდეგ პირველად „პნოიმატორაქსის“ გაეცებიდან გამიხმო პროფესორმა თავისთან და მითხრა: ავადმყოფის მდგომარეობა ძალიან ცუდად არის, ვშიმობ, ვეღარ მორჩისო. „პნოიმატორაქსი“-ს გაცეთების შემდეგ ავადმყოფ უკეთესად გრძნობს საერთოდ თავს, ეს კი უარესად გახდათ. ავადმყოფს სწრაფი ჭლექი (რუსულად რომ სკოროთება ყახოთკა-ს ეტყვიან) აქვსო. ერთადერთი საშეალება „პნოიმატორაქსი“, რომელიც სწრაფი ჭლექის დროსაც ხანდახან შესძლებს ავადმყოფის შეჩერებას დროებით მაინც, თუ სულ მთლად არაო. მაგრამ ამას (შალვას) მეტად მძიმე ხასიათის სწრაფი ჭლექი აქვს და, ცფიქრობ, ეს ერთადერთი საშეალებაც უძლური გამოდგესო. თავზარი დამეცა, ეს რომ მითხრა: აეუსენი, თუ რა საშინელება იქნებოდა არა მარტო მისა მშობლებისთვის შალვას დაკარგვა, თუ რა ნიჭიერ მხატვარს და სპეციაკ ადამიანს დაკარგვა ავდიოტიპით მასში, და შევეხევენე, ყოველივე ზომა ეხმარა,

რასაკვირველია, დაურიდებლად ხარჯებისა, რომ შალვა გადაერჩინა. ისიც შემძირდა: რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვიზამთო. ჩვენ იმედს მიინც არ ეკარგავდით, ვფიქრობდით, იქნებ მეორეჯერ „პნომატორაქსის“ გაკეთებას ეშველა რამ. გაუკეთეს მეორეჯერ, მაგრამ შალვა სულ უფრო უარესად ხდებოდა. შეუძლებელი გახდა ავადყოფობის ნინსვლის შეჩერება. თანდათან უკანასკნელი იმედიც დავკარგეთ. ბოლო დღეებინ გულმაც უმტცუნა, პულსის ცემა საშინელი პქონდა და დიდ სისუსტეს ჰერძნობდა. პქონდა მოჩვენებები და ხძირად ბოდავდა. უკანასკნელ სამ დღეს კი ცნება თითქმის სულ მთლად წაერთვა. ჩვენ თუმც გვცონბდა, კითხვაზედაც პასუხს გვაძლევდა, მაგრამ სულ ვიღაც ეჩვენებოდა და ელაპარაკებოდა. გარდაიცვალა 7 ოქტომბერს, დილის 4 საათზე. როგორც მოწყალების დამ გვითხრა, რომელიც მასთან ათევდა დამეს, თითქმის სრულიად უტანჯველად განუსვენია. იმედი თუმცა დაკარგული გვერნდა, მაგრამ, ასე ადრე თუ გაათავებდა ეს საშინელი სენი, აღარ ვფიქრობდით. ასე დავკარგეთ ჩვენი ძვირფასი შალიკო, ნიჭით საცხე და უსაზღვრო სპეტაკი ადამიანი, როგორც ხშირად ახალგაზრდა ნათესავებში ხდება, როცა ერთი რამდენიმე ნლით უფროსია მეორეზე, მე ძალიან ახლო არ ვიცნობდი შალვას. თვე-ნახევარ მასთან ყოფნამ ეხლა მაჩვენა, თუ რა ანგელოზი ადამიანი და ქვეითი, ნიჭირი ახალგაზრდა დავკარგეთ მისი სიკედილით. ჯერ ვერ გამოვრკვეულვარ კარგად, არ მინდა დავიჯვერო ეს საშინელი უბედურება. ვუვლიდით, რაც შეგვეძლო, მეხმარებოდენ სხვა ფრაიბურგში მყოფი ამხანაგებიც. ვეცადეთ, რაც შეგვეძლო (ფულის მხრითაც დაბრკოლება არ ყოფილა), მაგრამ განგებამ მაინც არ მოვცხედა. მერე ასე შორს სამშობლოდან, საშინელებაა პირდაპირ!

დავასაფლავეთ 10 ოქტომბერს ფრაიბურგის სასაფლაოზე. გადავალებინეთ შალვას სახის ორი სურათი, რომელსაც თითო ცალს ეხლავაგზავნიბიძია გერასიმესთვის, მეტს არ ვეზავნი, რადგან შეიძლება ნერილმა თქვენამდის ეკრ მოაწიოს და შემდეგ წერილთან ეიდევ გამოვგზავნო. გადავალებინეთ აგრეთვე დასაფლავების ორი სურათი, რომელსაც ორ-ორ ცალს ვაგზავნი, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი არ გამოვიდა ხეირიანი. საფლავი მშენიერ ადგილას არის, როცა კარგად მოვაწყობთ, გადავალებინებთ კარგ სურათს და გამოვგზავნი.

აქაურმა სტუდენტობამ გადასწულითა, ძეგლი დაუდგას შალვას, იმედი გვაცვს, მიუხედავად ჩვენი[1] ფინანსისურ სივიწროვისა და საერთო სიძეირისა, ერგ ძეგლს დაუუდგამო, შალიკოს შესაფერს. ხის კუბოში ცინკის კუბი ჩავადგმევინეთ, რომ, თუ ბიძია ან და შალვას ძეგობრები გვამის საქართველოში გადასვენებას მოინდომებენ, ეს ადვილი იქნება. შალვას ყველანივთები, რაც გერმანიაში პქონდა ნამოღებული, მე მაქვა და ვინახავ, რაც პარიზშია, იმას მისი იქაური მეგობრები შეინახავენ.

ამ წერილის დაწერა ცოტა დამიგვიანდა. ჯერ სურათების დამზადებას ვუცდიდი, მინდოდა ერთად გამომეგზავნა. ფოტოგრაფმა საქმე გამიჭიანურა. მერე, ეს ორი დღეა, პაიდელბერგში გადმოვედი და გადმობარების დროს ვერ მოვიცალე. მე ეხლა პაიდელბერგის უნივერსიტეტში ვსწავლობ. ჩემი მისამართი ამიტობან შემდეგია: Deutschland. Heidelberg. Kaiserstr. 64 II, Herrn stud. rer. pol. B. Ramischvili bei Kröl.

ამ წერილის მიღება, ეცადეთ, როგორმე, რაც შეიძლება ჩეარა შემატყობინოთ. ვუგზავნი სტამბოლში ნესტონ კალანდაძეს (240) და ვთხოვ, როგორმე საქართველოში გააგზავნოს. თუ ეიდევ უკეთესი შემთხვევა მომეცა ამ ახლო მომავალში (თუ ვინმე ნამოვიდა აქედან საქართველოში), ისევ დავნერ ასეთს წერილს და სურათებსაც გამოვგზავნი. ერთ-ერთს, იმედია მიიღებთ.

ჩემი გულითადი სამძიმარი ბიძია გერასიმეს, ანეტას და ყველა ნათესავებს დაუვინარ შალვას დაკარგვისთვის.

თქვენი ბიძინა რამიშვილი.